



# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru  
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№347 (406) 13-20 იანვარი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – ააქი შენიძა

**ხუჩაი ხაჯაია: ქსეპი ღო ვეპე  
უვიცოგავ, ქედღადრეკილთა  
აზროვნებავ, უხვალღლოგისკენ  
თავანყვებოლო ფხანყოგავ და  
გოგურო თვითკეაყოფიღებავ!..**

**კუკური  
ფიფია:  
მუიძღუგა თუ  
ანა გავხუეო  
ხნყუთეოთეოთი?**

„მოელი ხეენი და კაცო-  
ბრიობის უბედურება  
სწორედ ისაა, რომ, ჯერ  
კიდევ, სულიერ-გონებრივად  
არ ვართ იმ დონემდე ამაღ-  
ლებული, რომ უშეცდომოდ  
შეველოთ სიკეთისა და  
ბოროტების გარჩევა. და  
ღმერთი განსაცდელს იმიტ-  
ომ გვივლენს...“

**იგორ კეკელია —  
ედუარდ აიკვალდის  
სამოგზაურო  
ჩანაწერებში დაცული  
ცნობები სამეგრელოს  
შესახებ**

**მურმან ხუბულავა:  
საქართველოს  
სოლოიღო-რელოიგოიური  
მრგომწროღობა**



“კარგი ქვა  
კედლიდან არ  
გამოგარღება”.  
ხალხური




**კონსტანტინე  
კაკანელი  
(ჭანბურაია):  
ჩენესანსი  
ლიტერატურაში**

**ყვარყვარა თუთაბერი  
არ მომკვდარა!**

**ვაჟა ოკუჯავა — ქართველური  
ენები და ევროპული ქართია  
რეგიონალური და უმხირესობათა  
ენების შესახებ**



“მე  
მსოფლიოს  
წარმომადგენელი  
გარ!”  
– ტერენტი  
გრანელი



**მერაბ  
კოსტავას  
უცნობი  
წერილი —  
„მოსახლეობის  
მიგრაციის“  
შესახებ**



პრემიასანი საქართველოში – შოთა რუსთაველი

“ვეფხისტყაოსნის” ვაზულა. კლასიკი და სოციალური კულტურა “ვეფხისტყაოსანში”

ფეოდალიზმის კულტურა რუსთაველს სულ სხვა მორალურ-ესთეტიკური სახეებით აქვს წარმოდგენილი, ვიდრე სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა. დიდ ფეოდალებსა და რაინდებს რუსთაველი ხედავს მემკვიდრეობის გმირულ განსახიერებას, მაღალი მორალისა და სიღამაზის დასრულებულ სახეებს, აზროვნების გაშლილ პორიზონტს: როსტევეანი, ავთანდილი, თინათინი, ნესტან-დარეჯანი, ტარიელი, ფრიდონი ესთეტიკური სისავსის გამომსახველნი არიან. ეტყობა მათი სოციალური არე თავის შინაგან ორგანიზაციაში დასრულებულია და მათი ყოველდღიური ქცევა ამჟღავნებს სულიერ სიფაქიზეს. რეალიზმის ხერხებითაა გამოსახული ვაჭართა ოჯახური ცხოვრება: ოჯახის რღვევა, თავისუფალი სიყვარული და რომანი – სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა სოციალური ფსიქოლოგიის თანამგზავრია და რუსთაველიც თავის პოემაში იძლევა მათ დახასიათებას.

“ვეფხისტყაოსანი” პირველ ადგილს იჭერს მსოფლიო ლიტერატურაში თავისი ფაბულის სოციალურ-პოლიტიკური მოტივებით. ფეოდალიზმისა და სავაჭრო კაპიტალის სოციალური არეები რუსთაველსაც ცალ-ცალკე აქვს შემოხაზული თავიანთი დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრებით, ესთეტიკური განცდებით, ფილოსოფიური და მორალური იდეებით. მართალია, ვაჭრები “ამირანდარეჯანიანშიც” არიან გამოყვანილნი. ისინი მოდიან ინდოეთიდან, შეხვდებიან ამირანს. აქაც ვაჭრებს ისევე აწუხებენ მეკობრეები, როგორც “ვეფხისტყაოსანში”; ვაჭართა უხუცესი ისეთივე თხოვნით მიმართავს ამირანს, როგორც “ვეფხისტყაოსანში” ქარავანთუხუცესი მიმართავს ავთანდილს. “ამირანდარეჯანიანში” ვაჭრები მოდიან ინდოეთიდან, “ვეფხისტყაოსანში” კი – ეგვიპტიდან.

აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა ბიბლით, ყურანით, ხეთების სოციალური იურიდიულ ფორმებით მოწმობს, რომ ყოველგვარი იდეოლოგიური პაერეთის ცვლილება შემდეგია ხანგრძლივი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციის; როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი იდეები ისტორიაში მხოლოდ იმ ეპოქებში ვრცელდებიან, როდესაც მათთვის მზად არის სოციალური არე.

პომპროსის და ჰესოლდეს იდეები და სახეები საბერძნეთის სოციალური მოძრაობის უძველეს ფორმას გამოხატავენ და რასაც ჩვენ “ილიადასა” და “ოდისეაში” ვკითხულობთ, ის ზოგად თვისებებში მოცემული იყო ბერძნულ ყოფა-ცხოვრებაში. ესთეტიკურ თქმას წინ უძღვოდა სოციალურ-კულტურული პროცესის გარკვეული ტენდენცია, რომელიც ქმნიდა სოციალურ ფსიქოლოგიას. მხოლოდ ამ სოციალური ფსიქოლოგიიდან მომდინარეობდა პომპროსის ეპოქის მთელი ესთეტიკურ-ვერბალური განსახიერება: მოვლენებისა და ნივთების ერთგვარი დალაგება ადამიანთა საჭიროებისა და ინტერესის მიმართებით იძლეოდა იდეოლოგიურ-სიმბოლურ ფორმულას.

უძველესი დროიდან აღმოსავლეთის კულტურასაც ჰქონდა სხვადასხვა სოციალური არე თავისი ისტორიული განცდებით, თავისი ეპოქებით და ტრადიციებით. ინდოეთი, ჩინეთი, ისრაელი, საბერძნეთი, ეგვიპტე, სპარსეთი, იბერია, სკიეთი ერთმანეთთან ურთიერთობაში იყვნენ: სხვადასხვა გეოგრაფიული და ისტორიული ხასიათის მოვლენები აჩვენებდნენ სხვადასხვა ხალხს გარკვეულ ტრადიციებს, თვისებებს, იდეოლოგიურ-სიმბოლურ ნიშნებს. ხალხთა ურთიერთობაში საუკუნეთა მანძილზე მუშავდებოდა მსოფლიო ისტორიის დიდი სოციალური ეპოქები კლასობრივ-პოლიტიკური ინტერესებით. სხვადასხვა ხალხის ლიტერატურული შემოქმედებანი ამ ეპოქიდან გამომდინარეობდნენ. “ბარამიანი”, “ამირანდარეჯანიანი”, “ვისრამიანი” და “ვეფხისტყაოსანი” გამოსახავდნენ ძლიერი ფეოდალური კულტურისა და სავაჭრო კაპიტალის ურთიერთობას. ოთხივე ნაწარმოებში ესთეტიკური აღლო ცხოვრების სიღამაზესა და აზრს ხედავს ფეოდალურ სიძლიერეში, მაგრამ მსგავსი განცდებით ვაჭრებიც ყველგან არიან გამოყვანილნი. ცხადია, “ბარამიანის”, “ამირანდარეჯანიანის”, “ვისრამიანისა” და “ვეფხისტყაოსანის” იდეოლოგიური წყაროა ერთი და იგივე სოციალური ფსიქოლოგია, ერთი და იგივე სოციალურ-ეკონომიკური არე ფეოდალური არისტოკრატის ცხოვრების სტილით, მაგრამ სავაჭრო კაპიტალსა და ვაჭრებს მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. ამიტომ, გასაგებია ის სოციალურ-პოლიტიკური ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ თამარის ეპოქაში და იდეოლოგიური რენესანსი,

რომელიც აისახა ამავე ეპოქის ესთეტიკურ მიღწევებში. სავაჭრო კაპიტალის ტალღები შემოდიან ფეოდალური კულტურის მდინარეში.

რუსთაველის იდეოლოგია

სოციალურ-ისტორიული პროცესი ჯერ იქცევა სოციალურ ფსიქოლოგიად და მხოლოდ შემდეგ გადადის მეტყველებისა და ლიტერატურის სახეებში, ლოგიკისა და აზროვნების კატეგორიებში. საჭიროა საუკუნეები – ხანგრძლივი და ინტენსიური მობრუნება სოციალური ძალებისა, რომ ჩამოყალიბდეს იდეოლოგია თავისი ესთეტიკური და მორალურ-მეცნიერული სისტემებით. დიდ სოციალურ პროცესებს უფრო მეტი დრო ესაჭიროება, ვიდრე ვიწრო ნაციონალურ მოძრაობებს. აღმოსავლეთის იდეოლოგიები ბუდიზმი, ქრისტიანობისა, ზოროასტრიზმისა, მიტრაიზმისა ხანგრძლივ სოციალურ-ეკონომიკურ დაჯგუფებათა შედეგია; თითოეული იდეოლოგია წარმოადგენს სოციალური ბრძოლის ფორმულას ადამიანების მიერ ბუნების ექსპლოატაციისა და წარმოების პროცესის თვალსაზრისით საჭირო მიმართულებით.

ისლამი და არაბთა გამოსვლა ისტორიაში დიდი სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული მოვლენაა. კასტურ-პატრიარქალური კარნაკტილობა დაიშალა, მოხეტიალე ბედუინების თავაწყვეტილი ურიცხვი ბრბოები გაერთიანდნენ სავაჭრო კაპიტალის ინტერესებისათვის. პალესტინაში, მდინარე იარმუკასთან (იორდანის შესართავი) ბიზანტიის არმია დამარცხდა 634 წელს. ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე (575-641) სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ხედავდა, თუ როგორ გადადიოდა არაბთა ხელში მის მიერ არსებული ქალაქები მცირე აზიისა – დამასკი, პალმირა, ანტიოქია, იერუსალიმი; რამდენიმე წლის შემდეგ არაბებმა დაამარცხეს სპარსეთის ცნობილი სარდალი რუსტამი და მოღიანად დაიპყრეს სპარსეთი. ჩრდილო არაბთა მფლობელობა გაიშალა თურქესტანამდე. 646 წელს არაბები დაეუფლნენ ეგვიპტეს, 718 წელს კი პირენეის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი დაიკავეს. არაბებს არ ჰქონდათ სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის გამოცდილება, მაგრამ სადაც კი შევიდნენ, თან შეჭრულად თითქმის მთელი აღმოსავლეთის კულტურა და სიბერძნე, ასტრონომიული ცოდნა, რელიგიურ-მისტ-

იკური თქმულებანი, მცირე აზიის, ინდონეზიის და ეგვიპტის კულტურულ-ცივილიზაციური მიღწევები, ტანკიკური გამოგონებანი. აზიისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქებში არაბებმა შეიტანეს ათასგვარი ქსოვილები, საღებავები, ტიჩტურები, შუშები. ისტორიულად დამტკიცებულია, რომ IX საუკუნეში არაბთა კულტურის გავლენას განიცდიდა თითქმის მთელი მაშინდელი მსოფლიო. არაბ მეცნიერებს ესპანეთის კორდოვიდან მიწერ-მოწერა ჰქონდათ კაიროს, ბაღდადის, ბუხარის და სამარყანდის სამეცნიერო დაწესებულებებთან; არაბებმა ებრაელებიც და ბერძნებიც ჩაითრიეს თავიანთ სოციალურ-ისტორიულ საქმიანობაში. ბიბლიის ექსტაზი და მცირე აზიის ესთეტიკურ-ეროტიკული პათოსი არაბებმა იდეოლოგიურად შეათანხმეს პლატონისა და არისტოტელეს შესხვედლებთან. არაბთა მოძრაობა თავის იმანენტურ წყობაში რენესანსის ერთგვარ ნიშნებს ატარებს. არისტოტელეს და ალექსანდრიის მუსეონის იდეოლოგია იშლება ცოდნის სპეციალურ დარგებად. მათემატიკა, მედიცინა, ფიზიკა, ქიმია თავისებურ ფორმებში სახიერდებიან. იბადება მარადიულობის იდეა. იწყებენ სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებების ძებნას. არაბთა აღქმითობები გავლენას ახდენენ ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე. უხერხულ რომაულ ციფრებს ცვლის ორიგინალური არაბული ციფრები.

არაბთის სატახტო ქალაქ დამასკიდან საქართველოშიაც შემოდიოდა მსოფლიო კულტურის თვალსაჩინო მიღწევები. ინდო-ჩინური ესთეტიკური-ფილოსოფიური მსოფლმხედველება მეტყველებისა და მხატვრობის ორიგინალური სტილით, ებრაული კულტურის ტრადიციები ბიბლიისა და თაღმუდის სირიული თარგმანებით, ბუდას, მანისა და ზოროასტრის ქადაგებანი არაბთა ცივილიზაციის დრამატული ნიშნებით, ქრისტიანულ და ნეოპლატონურ მოძღვრებასთან ერთად ინტენსიურად ვრცელდებოდა მთელ მსოფლიოში. საქართველო ისტორიულად ვერ დარჩებოდა კულტურული მსოფლიოს გარეშე.

კონსტანტინე კაპანელი (გაგრძელება იქნება)

ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

კიდევ ერთხელ არქეოპოლისზე და კოტიანეთის კირქვის პარიერზე...

საზოგადოებრიობის ერთი ნაწილისათვის, როგორც ცნობილია, ნოქალაქების (არქეოპოლისის) სიახლოვეს, სოფელ კოტიანეთში ჩონჩხების ოჯახური ბიზნეს-კლანი ჩინელების მონაწილეობით და არსებული ხელისუფლების ლოცვა-კურთხევით ამ ბოლო თვეების განმავლობაში ატარებს წინამოსამზადებელ სამუშაოებს პერსპექტივაში კორქვის მოპოვების და ცემენტის დამამზადებელი საწარმოს გახსნის მიზნით... უმუშევარი და სიდუხჭირისაგან შეჭირვებული ხალხის დასაქმება ცხადია საშური საქმეა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ისტორიული კომპლექსის საზიანოდ კი, არა და არა!!! ამიტომაც, გაცნობიერებული მქონდა რა, შექმნილი სიტუაციის სერიოზულობა, ის თუ რა სავადალო შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა ყოველივე ამას – მე შევეცადე თემის აქტუალიზებას... შევეცადე მაქსიმალურად ამისი გასაჯაროებისათვის მიმეღწია... ამ მიზნით აქტიურად გამოვიყენე ინტერნეტ-სივრცე და სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ბეჭდვითი გამოცემა „ილორიც“. დაუინებოთ მივმართავი საზოგადოებრიობას და ადგილობრივ ხელისუფლებას მოგვეხდინა ზემოთხსენებული სამუშაოების გაგრძელება-შეწყვეტის თაობაზე დიალუგის განხილვა-მსჯელობა... მიმანდა და ახლაც მიმანდა, რომ ჩვენ არ გვაქვს არც არქეოპოლისის, არც ახლო-მახლო მდებარე, თუ გნებავთ სხვა ძეგლების მიმართაც უპასუხისმგებლო, ვანდალური მოპყრობის უფლება! არ მინდა სიტყვა

გამეცქვს და ვხევეწბოდი ყველას – ამოვლოთ ხმა... ვთხოვდი ყველას, რომ ინდივიდუალურად, კოლექტიურად, ვისაც როგორც შეეძლო ისე – მიემართათ სათანადო სტრუქტურებისათვის... განსაკუთრებით ვთხოვდი ჩემს სენაკელებს... მაგრამ ჩემი ხმა დარსა „ოღერ ხმაღ მღაღადებლისა უმადნოსა შინა“... ვიცი, ახლა ამას ამპარტანუბადაც კი ჩამითვლის ზოგიერთი, მაგრამ ყველას ვურჩევ საკუთარ სინდისს შეეკითხონ გამოავლინეს თუ არა სულმოკლე დამოკიდებულება ჩემს მიერ აქტუალიზებულ პრობლემასთან მიმართებაში... აქვე, ობიექტურობისათვის იმასაც აღვნიშნავ, რომ ნამდვილად მადლიერი ვარ ორი თუ სამი ადამიანის, ანუ იმათი, ვინც მართლა გულთან მიიტანეს ეს ყოველივე... მაინც გამეცქვა სიტყვა... დიახ, ოფიციალურად მივმართე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსაც... ამ სტრუქტურიდან მომივიდა წერილი, რომლიდანაც შევიტყვე, რომ მათ ჩემი მიმართვა გადაუგზავნიან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსათვის და რეკომენდაციას აძლევდნენ მას, რომ მივედინა სპეციალისტი ადგილზე საკითხის შესასწავლად...

როგორც იქნა „ეროვნული სააგენტოსაგანაც“ მივიღე წერილი... ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ როგორც მოსალოდნელი იყო ზემოთაღნიშნულმა სტრუქტურებმა მიაფრუსენეს ეს პრობლემა საკითხი... და, მე არ ვიცი, რა იქნება და როგორ იქნება ხვალ-ხვად... აი, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ხელისუფლებისადმი ნდობა მე ნამდვილად არ გამანია... სამწუხაროდ, არ მაქვს საზოგადოებრიობის იმედიც, რადგან იმასაც

ვხედავ, რომ ჩემი თანამემამულეების უმეტესობას არქეოპოლისის ძეგლზე მეტად ის უფრო აინტერესებს ვიდრე პოლიფილელ ჯენიფერ ლოპესს საკუთარი გაპიარებული უკანალი თუ რამდენ მილიონად აქვს დაღვეული, ან კიდეც – „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ რომელიმე მატრიაკეცა წამყვანის ჭრელა-ჭრულა საცვლების ჩაცმისადმი დაუოკებელი სიყვარული!!!

უფალო, უფალო...

რატომ, რატომ არ მოგვასვენებენ შენი სახელით მოსკეკულიანტე ეს ფარი-სეველები... რატომ, რატომ სურთ მათ მარგალიტობა წარმოაჩინონ ქრისტიანულ სათნოებად და პერმანენტული ანტიმეგრული გამოხდომებით რატომ ცდილობენ მეგრული თვითმყოფადობისა და უნივერსალური, უადრესად კაცთმოყვარული ქრისტიანული მოძღვრების ურთიერთდაპირისპირების პროვოცირებას... უფალო, უფალო... შთაავონე მათ, რომ მეგრულ იდენტობაში, ამ იდენტობაზე ფიქრში და გარჯაში არაფერია ღვთის საწინააღმდეგო, რომ ამასში არაფერია მეგრული და ერეტიკული... რომ ამ იდენტობის უპირველესი გამოსახულება მეგრული ენა დასაცინი და გასაქრობად არაა გასაწერი და მასაც აქვს არსებობის, განვითარების უფლება შენს მიერვე შექმნილ სამყაროში... უფალო, უფალო... შთაავონე მათ ასევე, რომ ეს უფლება შენგანაა, ეს უფლება ღვთიურია და არაა ეშმა-ბელზებულისაგან... უფალო, უფალო... დაგვემარე, დაგვიფარე და გვიხსენ ჩვენ ბოროტ მარგალიტობისაგან...

სიბილწის კიდევ ერთი გამარჯვება!

2015 წლის 22 დეკემბერი შავი ასოებით ჩაიწერება არამარტო საბერძნეთის, არამედ, მთელი მართლმადიდებლური სამყაროს ისტორიაში... სამწუხაროდ, მოხდა ის, რასაც პირადად მე როგორც ჩანს ჩემი ზედმეტად მიაშიტობის გამო გულწრფელად ვთქვი – არ მოველოდი... მეგონა ელადის პარლამენტი და პრემიერ-მინისტრი ალექსის ციპრასი გაუძლებდნენ ევროკავშირის მხრიდან ზეწოლას და ჩვენ არ გავხდებოდით მოწმე უპრეცედენტო და შემზარავი ფაქტის... უპრეცედენტო მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ საბერძნეთი გახდა პირველი მართლმადიდებლური ქვეყანა, სადაც სოლოგომორული ცოდვა ოფიციალურად დაკანონდა... როგორც ვატყობ, ანტიმართლმადიდებლური ძალები გადამწვევტ შეტევაზე არიან გადმოსული და ყოველგვარი კომპლექსის, ყოველგვარი თავშეკავების გარეშე და რასაკვირველია, ამავე დროს საზოგადოებაში დამკვიდრებული კონიუნქტურულ-ბითურული აზრის საწინააღმდეგოდ ამას ვიტყვი, რომ არ სიტუაციაში მთელი იმედები ახალი რომისკენ უნდა მიაპყროს კაცობრიობამ... ახალი რომის და საკაცობრიო ხსნის მისია კი, ჩემი ღრმა რწმუნით მოსკოვმა უნდა იკისროს! დიახ, ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად აპოკალიპტიკური ეპოქა დაგვიდგა და უდიდესი იმედი მაქვს უფლის ნებით ჩრდილოური ზესახელმწიფო გახდება სწორედ ის მახვილი, რომელიც პლანეტარული მხეცის განსაგმირად უნდა იქნას გამოყენებული!!! უფალო... მოგვეც ძალა და ნუ მოგვაკლებ შემწეობას ბოროტებასთან ბრძოლაში...

# ყვარყვარე თუთაბერი არ მომკვდა!

**“კარგი ქვა კედლიდან არ გამოვარდება”. ხალხური**

უკვდავი მხატვრული ნაწარმოების ქვაკუთხედი მისი მთავარი გმირის “უკვდავი” მენტალიტეტი გახლავთ, შემოქმედის ამოცანა კი ამ სახის იმგვარად განმსაზღვრება, რომ მეტი დამატებლობა შესძინოს ახალი დროის გმირს და დაგვაჯეროს მის რეალურად არსებობაში. ამიტომ, დღესაც ცოცხლობენ ჩვენს გვერდით დონ კიხობები, დათა თუთაშხიები, მახარაშვილები, დარტანიანები, ფელიქს კრულები, კოლა ბრუნიონები, ტილ უილენ-შპიგელბერი, პაპუაშვილები...

დიას, ისინი უკვდავები არიან, რადგან წარსულში მართლაც არსებობდნენ თუ მათი ზუსტი ასლი არა, მათ მაქსიმალურად მიმსგავსებული პიროვნებები მაინც!

და, სამწუხაროდ, ასევე არსებობს **ყვარყვარე თუთაბერი**, რომელიც ხალხის მასიდან ამოიზარდა და რომლის სახელიც უკვდავყო შესანიშნავმა ქართველმა მწერელმა აქესენტი ცაგარელმა.

მიუხედავად მათი არც თუ მოსაწონი საქციელისა, აუდიტორია ამ გმირების “ურყოფითი” თვისებების მქონე ნაწილს მაინც დადებით პიროვნებად აღიქვამს, რადგან ისინი გვაცინებენ, გვახალისებენ, ხშირად კი მწერად ჩაგვაფიქრებენ ჩვენი ყოფის ამოებახზე.

დიას, სწორედ ასეთი ლიტერატურული გმირი გახლავთ ყვარყვარე თუთაბერი – ჩვეულებრივი პოლიტიკური ავანტიურისტი, მგეროვე, ცრუპენტელა, ფულსა და ძალაუფლებას დახარბებული მოქიფე და მექალთანე, მუდამ სხვების დატუსაღების, დაწინებისა და დამცირების მსურველი შარღატანი...

ამგვარი მმართველი უკვე გვყავდა სააკიანცის სახით, მაგრამ ეს დაშნაკი აშკარად ყვარყვარეს “ბოროტი ვარიანტი” გახლდათ, რომელიც ვამპირივით სვამდა უდანაშაულო ხალხის სისხლს. ჩვენ კი ამჯერად გვინდა გესაუბროთ “კეთილ” ყვარყვარეზე, რომელიც თავისი უსაქციელობისა და ქვემორმობის გამო აშკარად გამაღიზიანებელია ნორმალური ადამიანისათვის, მაგრამ მაინც სასაცილო და თავშესაქცევი პერსონაა...

აღბათ მიგვიხვდით, ძვირფასო მკითხველო – ეს “კეთილი ყვარყვარე” საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გახლავთ!

როცა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თხოვნის ტონით “გებობანა” – აუცილებლად გიორგი მარგველაშვილი უნდა აირჩიოთ საქართველოს პრეზიდენტად, რადგან იგი კარგი წინამძღოლი იქნებაო, არცერთ “ნაციონალურ” ქართველს ხელი არ შეტოვებია, ისე შემოსახა პრეზიდენტის საარჩევნო ბიულეტენში მარგველაშვილის გვარი. ვერაფერს წარმოიდგენდა, თუ ამ ბუთხუზა, ერთის შეხედვით უწყინარი, ვაისნადოთ ქსოვისა და ფსიქოლოგიური სენცენტციების ოსტატის სახით სრულიად საქართველოს “მოდელირებული” ყვარყვარე თუთაბერი მოვლენებოდა. მოკლედ, არჩევნების საღამოს დაიძინა გიორგი მარგველაშვილი და მეორე დღით გაიღვიძა პრეზიდენტად “გადასულგუნებულმა” ყვარყვარე თუთაბერმა!

თითქოს გუშინ იყო, ივანიშვილი საბავლეზე გამობმულ ხბოსავით რომ დაატარებდა მარგველაშვილს და გვარწმუნებდა, რომ ამაზე კარგი პრეზიდენტი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებაო. აღბათ თავადაც სჯეროდა, თორემ ივანიშვილის გულწრფელობასა და მამულისადმი სიყვარულში ნორმალური ადამიანი ეჭვს არასოდეს შეიტანდა. არავის უკნადა, რომ ეს შეუმცდარი ადამიანი ოდესმე შეცდებოდა, რასაც ახლაც ვერ პატიობს საკუთარ თავს. მაგრამ ბატონ ბიძინას მხედველობიდან გამორჩა ის ამბავი, რომ მარგველაშვილი ფსიქოლოგიის დოქტორია და კარგად ერკვევა წესიერი ადამიანის სულიერ ლაბირინთებში. თაღლითსა და ცრუპენტელას კი მეტი არაფერი უნდოდა, როგორც კი თავისი განიხილა, საკუთარ გუნდს დაუპირისპირდა და ნაციონალისტებსა და მორჩილად მიმართა დინგი. ფაქტები გნებავთ? აკურ, ბატონო!

**თანაშემწედ დანიშნა პირწავარდნილი**

**ნაციონალის მიშა მაჭავარიანის ძმა – ვანო მაჭავარიანი;**

**მრჩეველად აიყვანა ნაცების მიერ შექმნილი არასამთავრობო – ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჭორიძე;**

**თანაშემწედ აიყვანა ვიღაც გორელი აბა შიშვილი, რომელსაც საკუთარი სახლი საკმაოდ ხელსაყრელ ფასად აქვს მიქირავებული ნაციონალებისათვის;**

**თვითნებურად დაიკავა სააკაშვილის “რაიხსტაგად” წოდებული რეზიდენცია, რომელსაც თავადვე ეძახდა “ბოროტების ბუდე”...**

კიდევ უამრავი ფაქტის მოხმობა შეიძლება!

ასე “გვაჭამა” ყველას ჩვენი დროის ყვარყვარე, მაგრამ, არა, ნურას უკაცრავად – მარგველაშვილმა ივანიშვილი კი არა, სრულიად საქართველო მოატყუა, რადგან მას ხმა სწორედაც რომ ივანიშვილის ხართით მისცეს და არა რაიმე პირადი დამსახურებისათვის!

რაც შეეხება საკუთარი გუნდისათვის ზურგის შექცევას, როცა ერთმა ჟურნალისტმა მას ჰკითხა თუ რატომ გაუუცხოვდა მარგველაშვილი “ოცნებას”, ამან პრეზიდენტი საშინლად გააცხარა: “მე გაუუცხოვდა “ქართული ოცნების” ღირებულებებს? მე გაუუცხოვდა ჩემს წარსულს? საინტერესო კითხვაა. მე ვდისტანცირდი?” – იკითხა მარგველაშვილმა. კითხვაზე, მისი მისამართით ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ რომ კეთდებოდა გარკვეული განცხადებები, მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ კომენტარებს არ აპირებს იმაზე, ეს საუბარი სიმართლეა თუ ტყუილი. “ორ ადამიანს შორის ურთიერთობა, ორ ადამიანს შორის ურთიერთობად უნდა დარჩეს წესით, მაგრამ მე არ მგონია, რომ ვდისტანცირდი”, – განაცხადა მარგველაშვილმა.

ჭეშმარიტება კი სულ სხვაგვარია. ამ უღლეურმა “წინდის მქსოველმა” უმაღლადაც, რომ საკუთარმა ავტორიტეტმა გაამარჯვებინა პრეზიდენტობისათვის გამართულ მართონში და არა ბიძინას შეუვალმა მხარდაჭერამ. ამიტომაც მოინდომა, რომ ქვეყნის ერთპიროვნული მმართველის რანგში გაეგრძელებინა პრეზიდენტობა და საკუთარი პერსონა მთავრობასა და პრემიერ-მინისტრზე მაღლა დაეყენებინა. ამიტომაც დაუპირისპირდა საკუთარ გუნდს და რევანშს მოწყურებულმა ნაცებმაც წამსვე აუბეს მხარი – “პირველ ლევიდ” გამოაცხადეს მაკა ჩიხუა, რომელიც ხასად ეჯდა უბადრუკ მარგველას და რომ არა პრეზიდენტული აუცილებლობა, ამ ყვარყვარეს ხასად დაამთავრებდა თავის “ოჯახზე” ყოფას!

მაგრამ, ამჯერადაც ჩაუვარდა კოვზი ნაცარში ყვარყვარეს!

და როცა მიხვდა, რომ გაუგეს ვერაგული ჩანაფიქრი, წამსვე დაპირისპირებულ საკუთარ გუნდთან მისი პოზიციების მართებულობაზე დაიწყო დავაღვი: “მე გაუუცხოვდა “ქართული ოცნების” ღირებულებებს? მე გაუუცხოვდა ჩემს წარსულს? რომელზე შეიძლება იყოს საუბარი. მე გაუუცხოვდა ჩემს წარსულთან, გუშინდელ პროცესთან მიმართებაში? მე გაუუცხოვდა ჩემს წარსულთან, როდესაც ვეტო დავადე მოსმენების კანონს, რომ დავტოვებდი მთელი ქალაქი ქუჩაში, ჩვენ გვისმენენო. მე გაუუცხოვდა ჩემს ამომრჩეველს, რომელსაც 10 წლის განმავლობაში ვეუბნებოდი, რომ ეს მიუღებელია. რა გავაკეთო დღეს, ვისი ერთგული დავარჩე – ჩემი სიტყვების თუ იმ დოკუმენტის, რომელიც ერთად შევქმენით საარჩევნო კამპანიის სახით. მე აქ ვხედავ ძალიან

მარტივ სიტუაციას, მე არ წავსულვარ იმ პუნქტიდან, რომელზეც ყველანი ვიყავით თანახმა. თუ ვინმეს ეს დისკომფორტს ანიჭებს და ძირითადად ამაზე საუბრობენ, რატომ აქტიურობს პრეზიდენტი, რატომ მოიწვია უშიშროების საბჭო, რატომ გააკეთა კომენტარი”, – განაცხადა მარგველაშვილმა. ამ კონტექსტში მან გაიხსენა “ერთგული ბანკის შესახებ” კანონი, რომელსაც ვეტო დაადო. მისი თქმით, იგი კოალიციასთან ერთად ამტკიცებდა, რომ ბიზნესი უნდა იყოს შეუვალე.

ჭეშმარიტად – ენას ძველი არა აქვს, მარგველაშვილს კი სამართალი!

**“ჩემთვის როგორი კომფორტული იქნებოდა, როდესაც “ნაციონალური მოძრაობისთვის” მტერი ვარ და მტერი ვიყავი 2003 წლიდან და ეს არავისთვის უცხო არ იყო. მე ხომ არ ვიყავი დამალული მტერი, მე ვიყავი ღია. “ნაციონალური მოძრაობისთვის” მიუღებელი ვარ და ჩემ წინააღმდეგ კამპანიას აწარმოებს და სხვათა შორის, ამ დროს “ქართული ოცნებისთვისაც” მიუღებელი ვარ, როგორი კომფორტული პოლიტიკური პოზიცია მიპოვია თურმე იმისთვის, რომ გამემყარებინა ჩემი სკამი. მთელი პოლიტიკური სპექტრი გაერთიანდა ჩემს წინააღმდეგ. ეს რანაირად არის კომფორტული პოზიცია, ან მყარი პოზიცია რანაირად არის? არანაირად. მე არც მანამდე ვყოფილვარ დაპირისპირებაში და არც ახლა არ ვარ, მაგრამ არის რაღაც, რასაც ჰქვია პრინციპები”, – განაცხადა მარგველაშვილმა.**

მოკლედ, კვირასთან ნაცრის ისეთი კორიანტული დააყენა თანამედროვე ყვარყვარე, რომ ათ მეტრზე მაინც არაფერი ჩანდა.

მარგველაშვილი საოცარ უფლებებს ითხოვდა და მას სურდა ყოფილიყო პრემიერის უფროსიც, თუმცა, მას ეს უფლებები კონსტიტუციით არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი მიიჩნევს, რომ მარგველაშვილმა გადაწყვიტა ზეგავლენის მოხდენა სასამართლო სისტემაზე.

თავის ერთ-ერთ ტელეინტერვიუში, ყოველივე ამის თაობაზე, ივანიშვილმა განაცხადა: “არ უნდა ჩაერიოს ხელისუფლების არც ერთი შტო სასამართლოს საქმიანობაში. სასამართლო თვითონ არის ხელისუფლების ერთ-ერთი ნაწილი. ეს მოვასხვრებთ ჩვენ და ჩემი აზრით, რაც ხდება დღეს მურუსიძის თემასთან დაკავშირებით, სწორედ რომ დაირღვა ის, რასაც მე ვცდილობდი არ დარღვეულიყო. ხელისუფლების ნაწილია და პრეზიდენტი არის ხელისუფლების ნაწილი, აშკარად გამოკვეთილად დაიწყო სასამართლოზე ზეგავლენის მოპოვების მცდელობა. სწორედ რომ პრეზიდენტმა, რომელმაც დასაწყისშივე, მოსვლისთანავე და ჩვენი პოლიტიკის და დაპირისპირების მიზეზიც, თუ გნებავთ ეს იყო, მოისურვა სააკაშვილზე მეტი ხელისუფლება. თავის დროზე უსუფაშვილი 7-ჯერ დაგვარინებო კონსტიტუცია თუ რა უფლებები შეიძლება ჰქონოდა პრეზიდენტს საპარლამენტო რესპუბლიკაში. პრეზიდენტმა შეიძინა უარი თქვა და რაღაც საოცრებებს ითხოვდა და ის, რომ პრეზიდენტმა მოახერხა საკუთარ გუნდთან დაპირისპირება, მიზეზი სწორედ ეს გახლავთ, რომ მას უნდოდა უფროსი ყოფილიყო ამ გუნდის. მას სურდა ყოფილიყო პრეზიდენტი უფროსიც და ეკარნახა.

ამის მაგალითები ბევრია. ამას ვერ ახერხებდა და ამ პროცესში სასამართლოზე გადაწყვიტა ზეგავლენის მოხდენა. ამას ემსახურება ახლა მურუსიძის პროცესი”.

ახლა ეს წინდისმქსოველი შარველიანი პენელოპა პირზე ქაფმოდებული რომ ამტკიცებს “ნაცდაშნაკებს” არ თანაუ-

გრძობო, მის ყოველ საქციელში ხომ სწორედაც რომ ავადსახსენებელი ნაცების ინტერესების დაცვა გამოსჭვავის! ავიღოთ თუნდაც “რუსთავი-2”-თან დაკავშირებული დავა. მარგველაშვილს რომ თავის დროზე დაემტკიცებინა კანონი საკუთრების თაობაზე და ფორა არ მიეცა ასევე ნაციონალური ხელისუფლების დიად გამტარებელ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, “რუსთავი-2” ახლა მისი კანონიერი მფლობელის ხელში იქნებოდა და არა “პირფანარა გვარამიასი”, რა სახელითაც იგი ბატონმა დავით ქობალიამ მონათლა.

ვერც სისხლის სამართლის დამნაშავე ლევან მურუსიძის საპედაციო სასამართლოს მოსამართლედ არჩევის საქმეში გამოავლინა მარგველაშვილმა პრინციპულობა. მოკლედ, როგორც იტყვიან – “საითაც გაიქცა, იქ წაიქცა”!

არც იმაზე არ ძრავს კრინტს, სისხლის სამართლის დამნაშავე თავისი “ცოლისძმა” ვადაზე ადრე რომ განათავისუფლა საპატიმროდან!

ბოლოს იმით შევცადა საკუთარი მიწასთან გასწორებული რეიტინგის გადარჩენას, რომ მიუხედავად საზოგადოების არაჯანსაღად მოაზროვნე ნაწილის შუამდგომლობისა, მაინც არ შეიწყალა სახელმწიფო სახსრების დიდი რაოდენობით მითვისებაში მხილებული ყოფილი მერი გიგი უგულავა. მაგრამ, არა მგონია, რომ ამან გადაარჩინოს ძალაუფლებას ესოდენ მოწყურებული ფსიქოლოგი-მხედართმთავარი ყვარყვარე, რომელიც საომარ ტაქტიკასა და სტრატეგიაში ბევრად უფრო ნაკლები ცოდნა და ადლო განიხილა, ვიდრე ჭეშმარიტი მხედართმთავრის ცხენს და ვაისნადს უფრო მარჯვედ ხმარობს, ვიდრე ორლესულს.

იქნებ ახლა მაინც შეიგნოს ამ წინდების მქსოველმა “კარალევა მარგომ”, რომ თუ ბადრიჯანს ფრთები გამოუვა, იგი მაინც არ ჩაითვლება მერცხლად და ვერასოდეს შეინავარდებს ზეცაში!

ისე, ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის წევრების მიამიტობის გამკვირვება – ავადსახსენებელი “თავისუფლების ინსტიტუტის” ერთ-ერთი დამფუძნებელი მარგველაშვილი რომ ლატენტური (ფარული) ნაციონალი იქნებოდა, ამაში რატომ არ უნდა შეპარულიდათ ეჭვი? მაგრამ აქაც წარმოიშობა ვერსია, რომ მარგველაშვილი ამერიკელებმა “სპეციალურად შეტენეს” ივანიშვილს, რათა ნაციონალებს გარკვეული მხარდაჭერი ძალა ჰყოლოდათ “ქართული ოცნების” ხელისუფლებაში.

გიორგი მარგველაშვილს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ის ქვეყნის პრეზიდენტი გახდა კაცის კაცობით – ბიძინა ივანიშვილის კაცობით. დიას, ჩვენ პრეზიდენტად ავირჩიეთ კაცის კაცი, და ეს ცოდვა არ მოგვასვენებს მინამ, ვიდრე ეს მართლაც ყვარყვარე, თავისი წინაპრების, მიხეილ სააკიანცის მიერ ჩვენი სახსრებით აგებულ “რაიხსტაგში” იქნება გამოჯგომილი აღშვანგის ნოქარივით!

ამიტომ, ჩემის აზრით, უპირანი იქნება, რომ წერილი დავამთავრო ჩემო პედაგოგისა და მეგობრის, შესანიშნავი ქართველი მწერლისა და ჟურნალისტის, უადრესად პრინციპული და ფხიზელი ამომრჩევლის ბატონ ალექსანდრე შენბელის ერთი ლექს-სათრეველით:

**ბანსჯა ბონივრული**

ამომრჩეველისა და არა-ამო მრჩეველისაგან მის მაღალაღმტებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს: **ზოგ-ზოგების ლიქითა და ხიცინით, სამართალთან კმარა კუდის ქიცინი. ანგელოტურ კენჭისყრისთვის – სიცილით გავისტუმროთ საბჭო იუსტიციის! წაღმართისკენ მხოლოდ ასე წარემართავთ,**

**მავანთავან გამრუდებულ სამართალს!** მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მარგველაშვილის გამრუდებული სამართალი არასდროს გასწორდება, რადგან, როგორც ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: “არ განიმართების კუდი ძაღლისა, ვერცა კირჩხიბი მართლად ვლის”!

**როლანდ ჯალაღანიძე,** “აიპა“-ს და “შაზისი“-ს აკადემიების წევრი

**გვარდიის მათორი რომან კიმიშვილი საქართველოს ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი იყო. მეთაურობდა ეროვნული გვარდიის ახმეტის ბატალიონს და, ასევე, იყო კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის მებრძოლი შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოს წევრი. იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. სამშობლო უყვარდა და ამ სიყვარულს ლექსებით და სიმღერებითაც შთამბეჭდავდა გამოხატავდა... სამწუხაროდ, იგი სიკვდილმა სულ ახალახანს გამოგვაცალა ხელიდან. რომანი ყველას დაგვაკლდა – ის დააკლდა მთელ საქართველოს... ნათელში იყოს მისი ღამაზი სული.**

**როლანდ მაქაცარიძე,** ზუგდიდის სპორტული მუზეუმის დირექტორი. და გასული საუკუნის 90-იან წლებში სპორტულ ბატალიონ „ლაზის“ მეთაური

# ქართველური ენები და ევროპული ქართია რეგიონალური და უმხიარულობათა ენების შესახებ

(გაგრძელება წინა ნომერიდან)  
 (ქართველი "ფუტ-ლინგვისტები" და „ერთიანი საქართველოსთვის“ მებრძოლი მათი ისტორიკოსი მიმდევრები)  
 მინცი თოფი გილუდ, მარა იშენ ვარე მონადირე, შსგამ ნოტყელც გაზუშინუ მუქოთ ქანდი – მოლადირე თოლი არძას ალაბრსუნა, მარა ზღვა-ქვინც აკა ორწყე-ქიფელია ქინში ლობერ სქეპამს ირკოც ვაწკიროწკე.

საქართველოში კი დააღწია თავი კომუნისტების მმართველობას, მაგრამ გუჯჯიანი-ხორავას ვერ დაუღწევია თავი მაშინდელი „ხალხის სახელით“ გაკეთებული სტილის განცხადებებისაგან: – „საქართველოს მოქალაქეები ხელისუფლებისგან მოვითხოვთ...“ – „წარმოდგენილ მცდარ კვალიფიკაციათა ავტორები ვაღიარებულნი არიან ასახონ სიმართლე...“

– „საყოველთაოდ ცნობილია, რომ სვანეთსა და სამეგრელოში არასოდეს გაგვჩენია ჩვენი დიდიმამები „ენებად“ გადაქცევის სურვილი“ (რ. გუჯჯიანი, ბ. ხორავა – 2010, გვ. 5).

მაინც რა უნდა მოითხოვონ ამ სტატიის ავტორებმა ხელისუფლებისგან ან რა ასეთ მცდარ კვალიფიკაციას ავრცელებენ მავანნი?

გუჯჯიანი-ხორავასეული ეს „სიმართლე“, რა თქმა უნდა თ. გვანცველაძის ეკუთვნის: „...რომ არ არსებობს არც სამი და არც ოთხი ქართველური „ენა“; დიგლოსიის პირობებში ქართველები დაპარაკობენ ერთადერთ ქართველურ (ზოგადქართულ) ენასა და ათეულობით დიალექტზე; ხანური (მეგრული-ლაზური) და სვანური (ბაღსუემოური, ბალსქემოური, ლაშხური, ლენტეხური და ჩოლულური) კილოები ამ საერთო-ერთეული ენის, ისეთივე ტერიტორიული მიკროვარიანტებია, როგორც არიან: ქართული, კახური, იმერული, აჭარული, ხევსურული, თუშური, ვერტიკალური, ტაურის, მაჭახლური და სხვანი“ (თ. გვანცველაძე 2006, გვ. 9).

გუჯჯიანი-ხორავას ნაშრომზე თუ გავაფრთხილებ ბატონი გვანცველაძის ამ პოსტულატს გამოვსა შედეგი: გუჯჯიანი-ხორავამ დიგლოსიის პირობებში ერთმანეთს თავიანთი აზრი გაუზიარეს მეგრულ და სვანურ დიალექტებზე (ხორავა თუ მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავზე, ხოლო გუჯჯიანი ლენტეხურზე დაპარაკობდა – ასე უკეთესად გაუგებდნენ ერთმანეთს?!-გ.ო), საერთო ნააზრევი კი „ზოგადქართულ“ ენაზე შეაჯერეს ქალაქად.

მოგუსმინოთ კვლავ გუჯჯიანი-ხორავას დიგლოსიური ურთიერთობის შედეგად მიღებული ნააზრევი: „ქართული საზოგადოება ... XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და XX საუკუნის 40-იან წლებამდე იცავდა და ინარჩუნებდა უდიდეს ეროვნულ მონაპოვარს – ქართული ენის, როგორც ყველა მხარის ქართველის, დედაენის სტატუსს“. (რ. გუჯჯიანი, ბ. ხორავა 2009, გვ. 2).

რატომ მაინცდამაინც XIX საუკუნის 40-იან წლებამდე?

მიტომ, რომ ქართული მეცნიერების რამდენიმე თაობა 40-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე (ანუ ამ პერიოდის ქართველი ენათმეცნიერები: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ბესარიონ ჯორბენაძე, კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე ალექსანდრე ონიანი, თამაზ გამყრელიძე, თეოდ უთურგაძიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, იზა ჩანტლაძე და მრავალი სხვა) რუსეთის აგენტებად და საქართველოს მტრებად გამოცხადდნენ. კიდევ კარგი, „მეცნიერთა ახალი თაობა“ გამოსჩნდა და „ჭეშმარიტება“ ამცნო საზოგადოებას. ვისაც ეგვიპტეა, შეუძლია ისევე თ. გვანცველაძესთან ჩახიხლოს: „დღეს ქართველ ენათმეცნიერთა ახალი და საშუალო თაობების ნაშრომებში შეინიშნება მისასაღმებელი ტენდენცია მოძველებულ თვალსაზრისთა არგუმენტირებულად გაბათილებიდან და ახალ, უფრო საბუნებრივ შეხედულებათა დამკვიდრებისა“ (თ. გვანცველაძე – 2006, გვ. 8).

გვიანებით პატივცემული ავტორები: ასეთი სურვილი არასოდეს გაჩენიათ, მიტომ რომ იცოდნენ და თვლიდნენ რომ ენებია – გ.ო.

როგორც ბატონმა გ. გოგოლაშვილმა აღნიშნა „ცხადია ახალი და საშუალო თაობის პროგრესულ ენათმეცნიერებად „სამეული“ და მათი კვირისდამკვირვებები

ითვლებიან“ (გ. გოგოლაშვილი, კრებული 2007, გვ. 122).

სწორედ ასეთი კვირისდამკვირვებობის ნიმუშია გუჯჯიანი-ხორავას ეს სტატია, რომელიც ენები პათეტიკურობით ამცნობს მთელ ქვეყანას, თუ როგორი „შეურაცხყოფილინი არიან სამეგრელოსა და სვანეთის შვილები, რომ მათ ენებს არ ვაღიარებთ დიალექტებად/კილოებად...“ და რომ ეს არის „ქართული ეთნოსის და შლა-დანაწევების მცდელობა, რომელიც ინსპირირებულია რუსეთის იმპერიის მიერ“ (რ. გუჯჯიანი, ბ. ხორავა 2010, გვ. 1).

გუჯჯიანი-ხორავას სტატიაში მოხსენიებულ წიგნში „ქართველური ენები და დიალექტები (ერთი „სამეცნიერო“ პოლემიკის გამო)“ არც ერთი პუბლიკაციის ავტორს, რომელიც აღიარებს რომ მეგრულ-ლაზური და სვანური ქართველური ენებია, არასდროს ვუკვეთავ არ დაუყენებია, რომ ქართული ენა: „მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა და სალიტერატურო ენა საქართველოს ყოველი კუთხისა და ყველა ტომის უთვალავ თაობათა ერთობლივი შრომის ნაყოფია. ეს ჩვენი საერთო ენა და საერთო კულტურაა...“

იმის მტკიცება, თითქოს მეგრულ-ლაზური /ჭანური/ და სვანური მხოლოდ კილოებია (დიალექტებია) ქართული ენისა და არა დამოუკიდებელი ენები, სხვა არაფერია, თუ არა ცდა – ნიადაგი გამოსაცალის მთელ ისტორიულ-შედარებით კვლევა-ძიებას ამ მიმართულებით. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის უარყოფითი რეაქცია, რასაც გამოიწვევს და უკვე იწვევს ზემოხსენებული თვალსაზრისი სამეგრელოსა და სვანეთის წარმომადგენელთა შორის, კერძოდ – ინტელიგენციის ფენებში ... ქართველურ ენათა არსებობა არავითარ საფუძველს არ იძლევა ამ ენებზე მოლაპარაკება შორის ეროვნული განსხვავების მტკიცებისათვის. ამ მხრივ მოძვე ენებზე მოლაპარაკე ტომები ისევე არ განსხვავდებიან ერთმეორისგან, როგორც სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ტომები. მათ ძირითადად შეინარჩუნეს ერთიანობის შეგრძნება და ერთიანი უფლებით შევიდნენ ქართველი ერის შემადგენლობაში“ (ხ. ჭუმბურიძე, კრებული – 2007, გვ. 15-16).

„ძალიან კარგად ვიცი, რომ ქართველური ენები სწორედ ენებია და არა დიალექტები. ეს დიდი ხანია მეცნიერულად დადასტურებულია. მეგრე რა, ამას არც ადრე და არც ახლა ხელი არ შეუშლია საქართველოს ერთიანობისთვის. როგორც ჩანს, მეცნიერთა მცირე ჯგუფი ვარაუდობს, რომ თუ მაგალითად, მეგრულს, სვანურს დიალექტებად გამოვაცხადებთ კონსოლიდაცია უფრო მეტად იქნება ურყევი. ვფიქრობ, ეს არასწორია, უფრო მეტიც, საზიანო ნაბიჯია: ერთი, რომ მახინჯავდებ მეცნიერული ფაქტი და მისტრეც, რადგან ენის 10 ქართველური ენების არსებობა“ – გ.ო.

ბატონი პატივცემული ისტორიკოსები თვლიან, რომ სისტემაში: კილოკავი-კილო-დიალექტი-ენა (თუნდაც უმწერლობა), დიალექტი ყველაზე განვითარებული როგორია და ამიტომაც არიან „შეურაცხყოფილი“ მათი დიალექტების „ენად“ გამოცხადებით. „ფუტ-ლინგვისტების“ გარდა სხვა ლინგვისტთა ნაშრომებსაც რომ გაეცნობოდნენ, ბატონია რომ აღარ იგრძნობენ თავს „შეურაცხყოფილად“ – გ.ო.

„სტატუსი დიალექტადე „დაქვეითდება“, შესაბამის კუთხეთა წარმომადგენლები ამ ფაქტს შეურაცხყოფილად და დისკრიმინაციულად აღიქვამენ. განიჭება უნდობლობა.“ (გ. კვარაცხელია, კრებული – 2007, გვ. 13).

გუჯჯიანი-ხორავას აზრით, ახალი აღმოჩენა გაუკეთებია ქალბატონ მ. ტაბიძეს, როცა აღნიშნა: „გერმანულის სხვადასხვა დიალექტთა წარმომადგენლები ერთმანეთს სტანდარტული – გერმანული სალიტერატურო ენით მიმართავენ, წერენ და კითხულობენ გერმანულად“ (რ. გუჯჯიანი, ბ. ხორავა, 2010 გვ. 9).

ნება სხვა რომელ ენაზე უნდა ეწერათ ან ელაპარაკათ ერთმანეთთან გერმანულს, რომელთა ენობრივი სიტუაცია ძალიან წააგავს ქართული სინამდვილეს? საოცარი და გამცემელი-ფუტკარაბის ლოგოა გერმანულთან მიმართებაში: თ. გამცემლიძე დღენიდავ აყვედრის გერმანულ ქართველოლოგებს: სანამ ჩვენს საქმეებში ჩაერვიან, ჯერ თავიანთი დიალექტები გადააქციონ ენებად და მერე ჩვენებზე იმსჯელონ: „საკმარისია გ. ბოედერმა ... ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური, სოციალური და ფუნქციური პარამეტრებისადმი

გერმანელთა და სხვათა კომპლექსური მიდგომა გააგრძელოს ქართველური ენობრივი სამყაროს მიმართ და ჩვენთან სადავოც აღარაფერი დარჩეს...“ (თ. გვანცველაძე 2006, გვ. 88).

მაგრამ რად გინდა, გაითვალისწინეს გერმანულმა გვანცველაძის ეს „რჩევა“ და „რეგიონალურ და უმცირესობათა ენების ქარტიში“ სხვადასხვა ენასთან ერთად შეიტანეს აქამდე დიალექტის სტატუსის მქონე „ქვემო-გერმანული“ ანუ „Plattdeutsch“-ი და ახლა ტ. ფუტკარაძე აუხირდა გერმანულს: „გერმანიის მთავრობამ ქვემო-გერმანულს მიანიჭა რეგიონული ენის სტატუსი, იმიტომ რომ ამ უკანასკნელს მე-16 საუკუნიდან ჰქონდა წერილობითი ტრადიცია“ თორემ წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით ან ქარტიის პრინციპებიდან გამომდინარე არ ეკუთვნოდა“-ო.

საინტერესო კუთხითაა გუჯჯიანი-ხორავას სტატიაში მოხსენიებული „ვეროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ“ და „ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“. მთავარი პოსტულატი, რა თქმა უნდა, ბატონ ფუტკარაძეს გააშიფრინეს: „ქარტია კონკრეტულ სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებას, თვითონ განსაზღვროს მის ტერიტორიაზე ვის მიანიჭოს უმცირესობის ენის სტატუსი“ (ტ. ფუტკარაძე 2005 წ.). (რ. გუჯჯიანი, ბ. ხორავა, 2010, გვ. 9).

და მეგრე თვითონ აგრძელებენ: „ამ საკითხების განსაზღვრისას გადაწყვეტი რთლი მეცნიერებს უნდა ჰქონდეთ, რომელთა შეჯერებული პოზიციით გამოიკვეთება ქართველთათვის ერთადერთი ენის არსებობა და ყველა სხვა ენობრივი ერთეული განიხილება მხოლოდ დიალექტებად“ (რ. გუჯჯიანი, ბ. ხორავა, 2010, გვ. 9).

მაინც ვინ და სად უნდა შეაჯეროს ეს პოზიციები? – „ენებად განიხილავენ მეგრულსა და სვანურს“ – გ.ო.

ბატონი ბატონი ფუტკარაძე ისეა „დიალექტებზე“ შეყვარებული, რომ ვერ იტანს, თუ სადმე ვინმე დიალექტს ენის სტატუსს მიანიჭებს?!.

მოკლედ – ვერაფრით ვერ მოიგეს გერმანულმა გვანცველაძე-ფუტკარაძის გული-გ.ო.

ბატონმა ფუტკარაძემ უკვე იხრუნა ამაზე – 2002 წელს ქუთაისში ჩატარებული ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმის ფარგლებში წარმოდგენილ მემორანდუმში წერია:

1. პუბლიკარულ დარგებში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა პოზიციების შეჯერება და საერთო თვალსაზრისის გამოუმუშავება აღნიშნულ 14 საკითხთან დაკავშირებით.

3. საქართველოს ეთნოლინგვისტურ პრობლემასთან დაკავშირებით უცხოური პუბლიკაციების მუდმივი მონიტორინგი.

წარმოდგენილი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია:

6. გაფართოვდეს სათანადო დაფინანსებითა და აპარატურით აღიჭურვოს ქუთაისის აკადემიის უცხოეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. (თ. გვანცველაძე 2006, გვ. 135). მაინცდამაინც თავმდაბლობით არ გამოირჩევა ბატონი ფუტკარაძე, თორემ ამხელა ტვირთს არ აიღებდა თავის თავზე, ცოტა სამუშაოს მაინც გადაუნაწილებდა 16 ენათმეცნიერების, ლიტერატურისა თუ ისტორიის კვლევით ინსტიტუტებს ან საქართველოში არსებული სხვა რომელიმე უნივერსიტეტსა თუ დაწესებულებას.

გარდა ამისა, ეტყობა მას და მის მიმდევრებს მიანიჭათ, რომ ქუთაისის დიალექტოლოგიის ინსტიტუტში ირწვევა ქართველოლოგიის აკადემიის: „სასურველია საქართველოს ყველა რეგიონის უნივერსიტეტთანაც შეიქმნას მსგავსი მიზნის მქონე განყოფილება“ (ცენტრი 18, რომელთაც კოორდინაციას გაუწევს ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ (ე. დალიანი, ტ. ფუტკარაძე, რ. შეროხია – 2010, გვ. 139).

ბატონი აქაც გამოტოვა ბატონმა ფუტკარაძემ დედაქალაქში არსებული მშობლიური უნივერსიტეტი და ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თუ სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები. ეტყობა თვლის, რომ დიალექტების შესწავლა მხოლოდ რეგიონებშია შესაძლებელი, ანდა ხვდება რომ „კოორდინაციის“ პრობლემები შეექმნება.

ბია ოკუჯავა (გაგრძელება იქნება)

## პოეზიის კუთხე მარბალური საო(ქ)როვო

- 0 – შენ ქოვორლუაფუდა,
  - 6 – ატრი რეტი, ჩქიმ გურიში,
  - ბ – ოფანილი ვარდი ჯგუა,
  - ა – ღმუღლარ ცაში მურიცხი.
  - ბ – ჟა ღო თუთაშ მანგი რეტი,
  - შ – ინ ღორთთიშ მიღუ მენდი,
  - ა – ღმადირეტი, სერდო დღაშით,
  - ლ – ური ვამიღუ უსკანეთი.
  - ა – კა, ქომიწი, მუ ვქიმინა,
  - ვ – აფჩანს სუა, სო ფუგრინა?
  - ა – ნწი ჩქიმი ქიქილა, ქლირ ქიანას ჩქიმი რინა!
  - ს – ი რეტი, ჩქიმი ზესინახე,
- ვემარინეკ მითინიშა.

### ბიჭიკო თუნთია სენაკი

### ირ კოჩიში მათხილარი

ღურქვენ, მის ღურქვა,  
 ნასაქვარეკ ღორთთიში,  
 არზაში ოღალ მა მუმობუ,  
 ცოცხალდ რენდ დოღურუნდ თიში.  
 მათი კოჩი გოხოლდოგ –  
 უქექუა მონკასენი,  
 მერქა ხოლო მამოფოხოზგ –  
 მიქ თე ოღალდ მოკასენი.  
 ეშვეადო გიმედისა  
 გილაშინდ, გილაშიღუ,  
 სოდ გაიონწე იკვანწენი  
 თექ იმენდი გილაშიხუ.  
 მათი კოჩი გოხოლდოგ,  
 მინრემელე-მოლეთთინი,  
 ღორთთიში ხეგენადგელდ  
 ართდ მორქია პოეტინი.  
 ჩქიმი შარა შხვა შარა რე,  
 ირკოჩიში სინავაგე,  
 ნამდგია ბორზალქ დირქიუნი  
 არმაქ გურსუ მაქემამგე.  
 ეკოპუნქუეკო ხონსე  
 დიკოხონიში მათხილარო,  
 ჯოჯოხეთიშ მდგონჯამილი  
 კარეფიში მაკილარო.  
 ღურქვენი, მისღურქვა,  
 ნასაქვარეკ ღორთთიში,  
 ირიში მათხილარდ ვორექე,  
 ცორცხალდ რენ დოღურუნი თიში.  
 კოტი ნაჭყბიბია

### მითქვარშალე ჰვიმა

მითქვარშალე ჰვემა, ამარ, ქორე წორი,  
 იბდათია წორი, ბეჭილია შარათ.  
 ათე თონწყუ გურც მუს ოძირა შორი,  
 დოლო მორჩქ სქემას სქანი ნაშიმორა.  
 მოსურდელე შოშე, გურით მოსურდელე,  
 მითქვარშალე ჰვემა, ეშე, გიმე, ელე-  
 ბაიაშფერ გემ, ასე არმა ოროს,  
 სქან თოლეფიშფერო, ათირუნა ფერი.  
 თქვარშალია ჰვემა, თქურშინუნც ხოლოს.  
 იასახო ჰვემც, იასუმიშ ნერი.  
 ხაალ ჯალალონია



# “მე მსოფლიოს წარმოადგენელი ვარ!” – ტერენტი ბრანელი

(გაგრძელება მე-9 გვერდიდან)



“შეკაცრესი მეთვალყურეობისა და „სამკურნალო წამების“ ქვეშ მყოფმა სულიერი სიმტკიცე შეინარჩუნა. ხუთ წელიწადში ექვსჯერ მოახერხა ამ ჯურღმულიდან გაქცევა”. საკვირველია, თუ ასეთი მკაცრი ზედამხედველობა იყო დაწესებული, როგორღა იპარებოდა, თანაც არაერთხელ? – იმიტომ რომ ტერენტის მიმართ გარკვეული შეღავათები ჰქონდათ დაწესებული. მას ზოგჯერ ბაზარში წასვლისა და ქალაქში გასვლის ნებისაზე რთავდნენ. ზოგჯერ ბრუნდებოდა, ზოგჯერ – არა. აი, ესაა რეალური სურათი.

რაც შეეხება პოეტის ზოგად მდგომარეობას მისდამი ხელისუფლების დამოკიდებულებას, რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით, ისევე როგორც არასაბჭოთადად მოაზროვნე სხვა მწერლების მიმართ, ხორციელდებოდა ერთგვარი რეპრესიები, რაც, ჩემი აზრით, გამოიხატებოდა საავადმყოფოში მისი დაყოვნებით. წიგნის გამოცემლობით, მაგრამ არა ისეთი მკაცრი ზომებით, რაც წილად არგუნეს ტიცინ ტაბიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, ნიკოლოზ მიწიშვილსა და სხვა ხელოვანებს.

რაც შეეხება ბატონი მამანტის მიერ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში “ცეკას მაღალი რანგის პირის” სტუმრობას. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ტერენტი ბოლომდე არ ჰყოფდა განწირული ხელისუფლებას, თუმცა ამ ეპიზოდში ბევრი ვანტაჟია, რადგან ეს სტუმრობა აღწერილი აქვს პოეტის მეგობარს გენო ქვლბაქიანს თავის მოგონებაში და იმ სტუმრის გვარსა და სახელსაც არ მაღავეს. ეს გახლავთ გიორგი ყურულიაშვილი, – “ცნობილი რევოლუციონერი და სახელმწიფო მოღვაწე”, როგორც ქვლბაქიანი მიუთითებს. ამ ეპიზოდში, რომელსაც რატომღაც ნიღბავს ბატონი მამანტი, ახალი სრულიად არავფრია, გარდა იმ

რამდენიმე გამოგონილი ამბისა, რაც სინამდვილეში არ ყოფილა. (იხ. „დათოვლილი სანთელი“, თბ. 2013 წ. გვ. 71-75).

რაც ეხება მკურნალ ექიმად ებრაელი ქალბატონის ნაზის დანიშვნას, რასაც ბატონი მამანტი ამტკიცებს, სრული სიცრუეა, რადგან პოეტის პირადი ექიმი იყო ქალბატონი მარიაშვილი – მაღალი რანგის პროფესიონალი, ინტელიგენტი, უაღრესად კეთილსინდისიერი ადამიანი, რომლის ჩანაწერებსაც მკითხველი ქვემოთ გაეცნობა. ქალბატონი მარიაშვილი ახლობლების მეტოკციებით ტერენტის მისთვის ლექსიც კი მიუძღვნია. ასევე მიუძღვნია ლექსი მთავარი ექიმისადმი.

და კიდევ ერთი: არ არის მართალი ბატონი მამანტი როდესაც წერს: “თითქმის წელიწადზე მეტი გავიდა, “მეგობართაგან” არავის მოუკითხავს. დღების წერილებსა და გახსნილ ამანათებს მხოლოდ მაშინ იღებდა, როცა მთავარ წითურს მოეპოვებოდა. ტერენტი მათ წუწუნით არასოდეს აწუხებდა. ის გაქცევის გეგმებს ამუშავებდა. ახალი 1930 წლის დაწვებიდან მალე შეკაცრული ექცეოდნენ და “სამკურნალო” ქანცამწვევებ “პროცედურებს” ელექტროსადენებით ინტენსიურად უტარებდნენ”. ბატონ მამანტის ავიწყდება, რომ პირველად სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ტერენტი გრანელი 1931 წლის ივლისის დასაწყისში მიიყვანეს და აქედან გამოემდინარე, 1930 წელს მას იქ ვერც კარგად მოექცეოდნენ და ვერც ცუდად. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქ არ იმყოფებოდა. მეორეც, დაბეჯითებით, გადაამოწმებული ინფორმაციით ვადასტურებ, რომ ტერენტის სურამში დებისაგან არავითარი ამანათი არ მისდოდა. დებმა, მაშინ, შესაძლებელია მისი ადგილსამყოფელიც კი არ იცოდნენ, ხოლო როცა გარდაიცვალა, არავინ მისი ახლობელი მის დაკრძალვას არ დასწრებია. ისევე მწერლებმა გამოიჩინეს თანადგომა. რატომ? – იკითხავს მკითხველი, იმიტომ რომ იმ ბოლო ხანებში ძმასთან კავშირი თითქმის გაწყვეტილი ჰქონდათ, არა იმიტომ რომ ტერენტი არ უყვარდათ, არა მის სათაყვანო დებს ზოხიას და მაშის მასზე ბევრი ცრემლი უღვრიათ, მაგრამ დრო იყო მაშინ ასეთი, ან იქნებ ბოლომდე ვერც ჰქონდათ შეცნობილი ძმის ფერმივინო...

დანარჩენის მკითხველი ავადმყოფ ტერენტი გრანელის “ავადმყოფობის ისტორიაში” წაკითხავს, რომლის დაბეჯდვიანსაგან გარკვეული მოსახერხებების გამო აქამდე თავს ვიკავებდით. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ კი გადავწყვიტეთ ეს დოკუმენტი დღის სინათლეზე გამოგვეტანა.

**„ავადმყოფობის ისტორიის“ შვესების მიხედვით ფოტო ნაწილებად**

## პირველი ნაწილი

დაბადების წელი 1901, მწერალი, პოეტი, განათლებული საშუალო, უცხოელი, წარმოშობით გლეხის ოჯახიდან, წაღვნიხიდიან, თბილისის მისამართი: რეუტოვის ქ. №31

ისტორია: 1931 წელი. წლოვანება 31 წლის. ეროვნება ქართველი. განათლება საშუალო. მიღება უფასო.

მწერალი, პოეტი, უცხოელზე, გადმოსულია სადგ. თბილისი.

დაბადების ადგილი – სამტრედიის მაზრა, სოფ. წაღვნიხიდა, მისამართი: თბილისი, რეუტოვის ქ. 31.

შემოსახლების დრო: მოვიდა ახალ შენში 5. VII 31 წელი, გაიპარა 7. IX 31 წ.

დააბრუნეს საავადმყოფოში და გაწერეს 2 XII 32 წელს.

მთავარი ექიმი ალ. მაღრაძე „ავადმყოფი, როგორც თვითონ ამბობს, არის მოყვანილი თბილისის ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში 5 თვის განმავლობაში. ანამნეზის შეკრების ცდამ უარყოფითად ჩაიარა. („მე ბავშვი არა ვარ, მე სტალინზეც უფროსი ვარ, რას შეუძლებია“) წამოხტა, გაეარდა კარებში. შემობრუნდა და თქვა: რას წერ „მე ათასი სტალინი ვარ, მე მედილიონე სტალინი ვარ, სტალინზე მეტი“ და გაეარდა ისევ გამოსაკვლევი ოთახში. რომ შემობრუნდა მაშინ ამბობდა: „ქვეყნიერებასთან, მთელ მსოფლიოსთან კავშირები მაქვს გაბმული. მე მსოფლიოს წარმომადგენელი ვარ“. ავადმყოფთან გამოკვლევის წარმოება მოუწყობრივებელია „რას მეკითხებით, მე ბოროტი არა ვარ“.

ავადმყოფი საშუალო ტანის...

„ავადმყოფი უმეტესად წვეს, ისვენებს, მაღა დიდი აქვს, მითხოვს ყოველგვარ საჭმელს, რაც შეიძლება ბლომად. ავადმყოფი მოუსვენრობს, იწვეს, დადის ეზოში, თხოულობს ბაზარში წასვლას სხვადასხვა საჭიროებისათვის. მკურნალობას ძლიერ ეწინააღმდეგება. აქვს ბოდვები „ის სტალინია“, „არის სტალინი მეტი“, „არა აქვს დამოკიდებულება დასავლეთ ევროპასთან ელექტრონის საშუალებით. ევროპა მასთანაა“. „ის უძლიერესია მთელს დღეამიწის ზურგზე“. ცნობიერება ნათელია, ბოდვების გარეშე. ავადმყოფი მითხოვს თავისუფალ სიარულს ბაზარში. იძლევა პატიოსან სიტყვას, რომ დაბრუნდება და არაფერს ჩაიდენს. ერთი ასეთი წასვლიდან გაიპარა“.

ისტორიის პირველი ნაწილი მთავრდება 1931 წლის 9 სექტემბერს.

## მეორე ნაწილი

შემოვიდა 17 IV 33 წ. გაეწერა 22 VII 34 წ.

2 X I 32 წლიდან ისევ მითავსდა თბილისში. აქ გადმოიყვანეს 1933 წლის აპრილში. დაეწყო ნერვიულობით, ადვილად აღეზნებოდა გახდა, აღეზნება თანდათანობით ემატებოდა. დაეწყო ბოდვები თვითგანდიდებისა. ჰქონდა უხვი პალუცინაცია სმენითი ხასიათისა. უცნაური საქციელი, კრიტიკა მდგომარეობის მიმართ დაკარგული აქვს, თავის თავს ავადმყოფად არ აღიქვამს. წონა 56 კგ.

18-22. (აპრილი. მ. მ.) V თვე – ჩვენთან შემოსვლისა.

ავადმყოფის ფსიქიკური მდგომარეობა ამჟამად შეუძლებელია. ყოველივე ჩვენს

მიერ მიცემულ სიტყვაზე გვიწევს სასტიკი წინააღმდეგობას. ავადმყოფი მოუსვენრად არის. ცნობიერება ნათელი. თვითგანდიდობა კარგი, გუნება-განწყობა დაწვეული. მითხოვს საავადმყოფოდან გაწერას. უამრავი ხასიათის ბოდვები თვითგანდიდების თავს უწოდებს რომანტიკის შთამომავალს. სმენითი ხასიათის პალუცინაციები. მიცემულ შეკითხვებზე დეიდება. განწყობილია აფექტისადმი. ნებით სფეროში არავითარი სურვილი მუშაობის არა აქვს. მეტწილად წვეს საწოლში. ფიზიკურად ჯანმრთელია 22-30. ავადმყოფი მითხოვს საავადმყოფოდან გაწერას. შიგდაშიგ დეიდება. გიპოხონდრიული ჩივილები. იმპულსური საქციელი. არავითარ ინტერესს და სურვილს არ იჩენს მუშაობისადმი.

1-30 V – „ავადმყოფის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა იგივეა“

1-30 VI – „მდგომარეობა იგივეა“

15-31 VII – ავადმყოფი მშვიდად არის. შეკითხვებზე იძლევა წესიერ პასუხებს. გამოსთქვამს ბოდვით აზრებს თვითგანდიდებისას: „მე დიდი კაცი ვარ, ჩემი ყოველივე განკარგულება შესრულებული უნდა იყოს! წინააღმდეგ შემთხვევაში დაგატუსაღებთ“. ფიზიკურად ჯანმრთელია და დაგატუსაღებთ“.

15 VIII 33 წელი – სრულიად მშვიდადაა. ხშირად სვირნობს ეზოში. ბოდვებს კვლავ გამოსთქვამს. პალუცინაციები უარყოფს.

16. VIII 1933 წელი – ეზოში სვირნობის დროს ავადმყოფი გაიპარა თბილისში“

22.X 33 წელი – „ავადმყოფი ისევ გადმოგზავნა თბილისის ფსიქონევროლოგიურმა ინსტიტუტმა, სადაც ავადმყოფი ყოფილა გადაყვანილი თბილისის მწერალთა კავშირის მიერ.“

1-30 XI 33 წელი – „ავადმყოფი მშვიდად განურჩეველი, დამოუკიდებლად უკონტაქტო, შეკითხვებზე იძლევა მხოლოდ ზოგჯერ პასუხებს. პასუხი აღუქვამურია. პალუცინაციებს უარყოფს. გამოსთქვამს ბოდვით აზრებს დადრდობებისას. მითხოვს ხშირად თამბაქოს“

1-31 XII – „მდგომარეობა უცვლელია“. გაეწერა 22. 07. 34 წელი

მკურნალი ექიმი მარიაშვილი იმის დასადასტურებლად, რომ ტერენტი გრანელი სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არავითარ შევიწროებას არ განიცდიდა, კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ ამჯერად წერტილს აქ დავსვამთ.

## მუშარ მითხარამი

P.S. აქვე მკითხველს ვთავაზობ იმ წიგნის სურათებს, რომელსაც ტერენტი თან დაატარებდა. წიგნი, როგორც თავის დროზე გვითხრეს, მას საავადმყოფოში დარჩა, რომელიც წლების მანძილზე ინახებოდა იქვე, შემდეგ, ის გამხდარა ხაშურში დიდხანს ცნობილი პედაგოგის ბატონი ივანე ადგიშვილის კუთვნილება. ეს წიგნი ამ ათოლე წლის წინ საჩუქრად გადმოცდა ბატონი ივანეს ქალიშვილმა, ასევე ცნობილმა მასწავლებელმა, აწ განსვენებულმა მერი ადგიშვილმა.

# ცხოვრების ბზამკვლევი ახალგაზრდობისათვის

მე ვარ გვანცა გოგუა. დაიბადე ქალაქ თბილისში, 1997 წლის 22 ივლისს.

მეაქვს მშობლები: მამა – ზურა გოგუა, დედა – ირმა დანელია, რომლებიც პროფესიით ინჟინრები არიან, მამა – ლაშა გოგუა, რომელიც სტუდენტია.

2003 წელს შევედი ქ თბილისის 114-ე საჯარო სკოლაში, სადაც 6 წელი ვსწავლობდი.

2009 წელს ჩავაბარე ქ თბილისის აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში, რომელიც 2015 წელს დავამთავრე ოქროს მედალზე.

სკოლამ დიდი გამოცდილება და ცოდნა შემძინა. მათემატიკის სიყვარული სწორედ ამ სკოლის დამსახურებაა, კერძოდ კი ჩემი მათემატიკის მასწავლებლის, ბატონი ოლეგ კვეტენაძისა.

ი. ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში სწავლის მანძილზე მონაწილეობას ვიღებდი სხვადასხვა სახის ოლიმპიადებში.

2012 წელს ოლიმპიადაში წარმატებების შედეგად 21 დღე გავატარე ინგლისში – ბაკსუდის ინტერნაციონალურ საზოგადოებრივ

ბანაკში. მაქვს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების სიგელები.

2015 წლის მარტში ოლიმპიადაში მიღწეული წარმატების შედეგად ვისვენებდი ბაზალეთის საზოგადოებრივ ბანაკში, რომელსაც თავისუფალი უნივერსიტეტი აწყოფს.

2015 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე, სადაც რეიტინგულ სიაში პირველი ადგილი დავიკავე უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა ვლადიმერ პაპავამ და ქალაქის მერმა დავით ნარმაზიამ ამისთვის პლანშეტური კომპიუტერთი დამაჯილდოვეს, ჩემი ფაკულტეტის დეკანმა კი – სხვადასხვა წიგნებით, რომლებიც გამოამდგება საგნების სრულფასოვნად შესწავლისათვის.

მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს მიყვარს ხატვა და დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმების ყურება. ამჟამად პირველ კურსზე ვსწავლობ და ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი უნივერსიტეტით, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ჩემს ჯგუფში საუკეთესო

ახალგაზრდები სწავლობენ.

დიდი სურვილი მაქვს მომავალში გავხსნა საკუთარი სარეკლამო სააგენტო.

ვისაც გაუჩნდება სურვილი, რომ შემომიერთდეს და ჩემთან ერთად დაეკავოს საკუთარი მომავალი, შეუძლიათ შემომეხმარონ ტელეფონზე 557-15-67-42.



# “გუსელია-ხილაშელი ბინძურ საქმეებს ჩაღიან, ისინი უნდა გარიცხონ ‘ოცნებიდან’

ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე პოლიტიკაში მართა სიდიდან მისი ამოღების ფაქტს, ერთი მხრივ, ფინანსურ გარიგებაზე უარის თქმით და მეორე მხრივ, თინა ხილაშელის ფაქტორით ხსნის.

როგორც მამალაძემ განაცხადა, მისთვის პოლიტიკაში მისი სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებს პრეტენზია და კითხვის ნიშანი არ ჰქონიათ.

“ამ სიდიდან ამოღება მოხდა შემდეგი გარემოებებით – 2012 წლის ნოემბერში, როდესაც განხილვები მიმდინარეობდა, ამას გარკვეული მინიშნებები მოჰყვა, და ეს მინიშნებები იყო მატერიალურ დაინტერესებულება“, – განაცხადა მამალაძემ.

მან არ დაასახელა თუ ვისი მხრიდან გაკეთდა ეს მინიშნება, თუმცა თქვა, რომ ეს პიროვნება ეკა ბესელიას ახლობელი იყო, ფოთიდან. მამალაძის თქმით, მას შემდეგ რაც ის ბინძურ თამაშს არ ჩაჰყვა და არანაირ გარიგებაში არ შევიდა, სიდიდან ამოიღეს.

“როცა საკითხის გარკვევა დაიწყო, ბესელიას გარემოცვის მხრიდან მომავალეს ინფორმაცია, რომ ჩემი ამოღება მოხდა იმის გამო, რომ პირადად თინა ხილაშელი ერეოდა საქმეში. როგორც კი დაინახეს, რომ მატერიალურ სარგებელს ვერ მიიღებდნენ, პოლიტიკურ რაკურსში გადაიტანეს ეს თემატიკა. მომავალეს ინფორმაცია, რომ ხილაშელი მისული იყო ბიძინა ივანიშვილთან, მხოლოდ ცუდი ილაპარაკა ჩემზე და დააფიქსირა, რომ ჩემი სიაში შეყვანა არ შეიძლებოდა, რადგან ჩამოვიდოდი და პოლიტიკურ პროცესებში ხელს შეუშლიდი“, – განაცხადა ლევან მამალაძემ.

მამალაძე აცხადებს, რომ ის მხარს უჭერს ივანიშვილს, რომლის ზურგს უკან ამოფარებულები, ეკა ბესელიას თუ თინა ხილაშელის სახით, ბინძურ საქმეებს ჩაღიან და ექსპრემიერს მოუწოდებს, ადამიანები, რომლებიც მის სახელს ბღალავენ, „ქართული ოცნებიდან“ გარიცხოს.

# საქართველოს სულიერ-რელიგიური მდგომარეობა

**(გაგრძელება წინა ნომრიდან)**  
**„ქართველი ხალხი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს ანუ მას ქრისტეს მეორედ მოსვლა სურს. აი, რა უნდა ქართველ ხალხს ქვეცნობიერად.“**  
**მ. ძარციველი**

ცოდვების მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ მართალი აზროვნებით და სწორი განათლების ორიენტაციებით, რომლის მოცემა შეუძლია მხოლოდ მეცნიერულ რელოგიას, მართლმადიდებლობას, ეკლესიასა და ყოველმხრივ განათლებულ პატიოსან სამღვდლოებს.

ხშირად გვსმენია მღვდელმსახურთაგან: „ჩვენ ქრისტიანები ვართ, ამიტომ „მისესთან“ და მის წარმართულ რელიგიასთან არაფერი გვესაქმება“-ო.

მათ ვუპასუხებ: – ხალხნო, სირცხვილია, როგორც სულმნათი მ. ქართველი იტყვოდა, მომავალი თაობები დაგვიცინებენ, როგორ შეიძლება მოსეს, იაკობის, ისააკის, აბრაამის, ნოეს და თვით ადამის ამგვარი პატრინით მოხსენიება? ეს ხომ ძველი და ახალი აღთქმის სრული უცოდინარობის გამოხატულებაა და ა.შ.

თვით ადამს, უარყოფითი მსოფლმხედველობითი შეხედულების გამტარებელს, უფალი შექმნიდა თავის ხატად და მსგავსად შემცნობელს ბოროტისა და კეთილისა?

– ბუნებრივია, არა!

სინამდვილეში პირველი კეთილისა და ბოროტის შემცნობი ადამიანად, იესო ქრისტეს ჩათვლით, ხსენებული პატრიარქები მართლმადიდებლური მსოფლმხედველობისანი არიან. მათ შორის მხოლოდ ეპოქალური რელიგიის ხარისხობრივ განსხვავებას აქვს ადგილი, რომლებსაც დროთა განმავლობაში ერთმანეთის ზედშენებით ქმნიდნენ ხსენებულნი პატრიარქები და საბოლოო ჯამში მივიღეთ რელიგიური მრწამსის უმაღლესი ცნობიერების ქრისტიანული – მართლმადიდებლური სარწმუნოება.

მსოფლიოში არსებულ რელიგიათა ფუნდამენტალურ, მართლმადიდებლურ საწყისებზე დაფუძნებისა და რელიგიათა ხარისხობრიობის კიდევ ერთი დასტურია წერილი, რომელშიც ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი – მაჰმუდ აჰმადინეჟადმა 2007 წელს მოულოცა სრულიად ქრისტიანულ სამყაროს ბრწყინვალე აღდგომა (დაიბეჭდა ჟურნალში „ქართვი“, №1(44) 2007წ.). გთავაზობთ მილოცვის სრულ ტექსტს:

„იესო ქრისტემ მშვიდობა და სიკეთე აუწყა ყველას.

ეულოცავთ ყველას ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს და ახალი წლის დადგომას.

იესო ქრისტემ (წმინდა იესო სახელი მისი) სამართლიანობასა და რწმენაზე დამყარებული მშვიდობა და სიკეთე აუწყა

ყველას. ის იშვა დედის კალთაში, რომელიც უფალმა წმინდანად აკურთხა და ყველა დედაზე მაღლა დააყენა, ღვთისმშობელი დედა და მისი ძე უფალმა აამაღლა.

ეჭვგარეშეა, მოწყალე და მოწყალობელმა უფალმა შექმნა ადამიანი და არც შემდეგ მიუტოვებია იგი – მოციქულთა და წმინდანთა მოვლინებით ყოველთვის ღოცავდა და ყოველთვის სწორ გზას უჩვენებდა მას. კაცთა მოდგმა არ გაჩენილა შუაღმისა და მტრობისათვის, დაპირისპირებისა და ბოროტებისათვის, არამედ იმისათვის, რომ მეგობრობის, მშობის, სიყვარულისა და სამართლიანობის გარემოში გზა დაუთმონ მომავალ თაობებს. ადამიანის შექმნის ფილოსოფია გულსხმობს უმანკო ცხოვრების, გონებრივი შესაძლებლობების განვითარების, დედამიწაზე სამართლიანობისა და სიკეთის გავრცელების ბედნიერების მიღწევას. ეს ღვთის სიტყვაა, და როდესაც მწაგვრელთა და მოპალადეთა მიერ ჩადენილი ბოროტება და უსამართლობა დაიპყრობს ქვეყნიერებას, იქნება მეორედ მოსვლა, რასაც ნათლად აცხადებს უფლის ყველა მოციქული.

სამწუხაროდ, ისტორიის მანძილზე ერთი მუჭა თავგერპა და ბოროტი ადამიანები წინ აღუდგნენ უფლის სიტყვას, რაც ყველა უბედურების, ომისა და მტრობის სათავეა და მიზეზია. მსოფლიოს დღევანდელი ყოფა ყველასათვის ცნობილია: პალესტინაში, ერაყში, ავღანეთში, სამხრეთ აფრიკაში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაშიც კი მოპალადეთა პარტიულ და ჯგუფურ ინტერესებს ეწირება ადამიანის სიმშვიდე, სიკეთე, პატიოსნება და ნაშუსი. სიმართლისა და პატიოსნების ნაცვლად სიცრუესა და ორპირობას უხსნიან გზას. უამრავი ადამიანი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებული მიდგომებით შეუძლებელია ადამიანთა სიმშვიდის უზრუნველყოფა.

ვინ იცის, იესო ქრისტე (წმინდა იესო მისი სახელი) დღეს რას გადაწყვეტდა, ვის შეაჩვენებდა და ვის დაუდგებოდა გვერდით. უდავოდ, ის დაგმობდა სიბილწესა და აღვირახსნილობას, რომელიც ქალის ღირსებასა და სახელს შეურაცხყოფს, იმ დირსებას, რომლის მაგალითსაც თვით წმინდა მარია ღვთისმშობელი წარმოადგენდა.

იესო ქრისტე დღეს დაგმობდა ამ მოვლენას, რომელიც მსოფლიოს უბიძგებს უსამართლობისკენ, აცლის მას სულიერებას და სიმშვიდეს. სწორედ ამიტომ, რომ უფლის მოციქულთა ჭეშმარიტი მიმდევრები დღეს ირჩევენ სამართლიანობის, მშვიდობისა და სულიერების განმტკიცების გზას.

მიუხედავად იმისა, რომ წლებიდან წლებამდე უფალმა უსამართლობის, აგრესიისა და ხალხთა უფლებების დარღვევის პირობებში ჩაიარა, სულ უფრო ხმაამაღლა ისმის სამართლიანობის და რწმენის დამკვიდრების მოწოდებები. დღითი დღე

მტკიცდება ერთა რწმენა უფლისადმი და ამიტომ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მიესალმებიან ღვთის მოციქულთა სწავლებებს.

როგორც იესო ქრისტე მოუწოდებდა ადამიანებს სიკეთისაკენ და მათ ურჩევდა განეგდოთ ბოროტი, მისი ჭეშმარიტი მიმდევარნიც ისევე იქცევიან. ისინი უფლისადმი რწმენითა და სიკეთით არიან გამსჭვალულნი. გეწამდეს, რომ წმინდა მოციქულთა სწავლებების აღსრულება მსოფლიოს სწორ გზაზე გაიყვანს.

ჩვენ გეწამს, რომ იესო ქრისტე ყველა მოციქულის დანაპირების აღსასრულელად მთრუნველ მოვა დედამიწაზე და ეს დღესასწაული ერთი წლით კიდევ უფრო გვაახლოებს ამ დიდ მოვლენასთან.

გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს და ახალი წლის დადგომას, უფალს შეესთხოვთ ირანისა და მსოფლიოს ყველა ქრისტიანის ბედნიერებას და ჯანმრთელობას. დაე, ახალი წელი სიუხვისა და წარმატების მომტანი იყოს მათთვის.“

მოცემული წერილის შინაარსის გაცნობის შემდეგ მეუბნება ვინმე დარჩეს ქრისტიანთა და მუსულმანთა რელიგიური უთანხმოების გამზიარებელი. და თუ მსოფლიოს რომელიმე კუთხეში ხდება უმსგავსო ქმედებები, ეს მხოლოდ შეკვეთილი კრიმინალთა ბანდებია, როგორც ხდებოდა 90-იან წლებში საქართველოში.

მთავარია ადამიანს აქონდეს სწორი წარმოდგენა მიწიერ არსებობაზე და უსასრულო სამყაროს მიმართ, თუ საიდან მოედინება, სად ვართ და სად მივდივართ. ბუნებრივია, სულით მოუწოდებულ ადამიანთა მხრიდან სრული დისკომფორტი გამოიწვიოს დასმულმა საკითხმა, მაგრამ მათ ვაპყუსობ მხოლოდ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ მოძღვრებით:

„ეკარგავთ ჩვენს წლებს ბგერის უსწრევსად.

ჩვენს წელთა რიცხვი სამოცდაათი წელიწადია,

ხოლო ჯანმბერობის დროს – ოთხმოცი წელიწადი;

და ამათგან უმეტესი ჯაფა და უსამართლობაა,

რადგან სწრაგად გაივლიან და ჩვენ მივფრინავთ.“

(ფსალ 89,10)

„რადგან ვარსკვლავებზე მეტად ბრწყინავენ მათი სახეები, ვინც თავშეკავებულ ცხოვრებას მისდევდა, ჩვენი სახეები კი წველიადზე უშავესია.

არ ვფიქრობთ ცოცხლები, როცა უსამართლობას ჩავდივართ, რა განსაცდელი მოგველის სიკვდილის შემდეგ.“

(ეზრა 7,57)

დედამიწაზე ცოცხალი კვრცხუჯრედები მიღებული პირველყოფილ ადამიანს არ აქონდა (არ შეეძლო) სამყაროს მიმართ სწორი ხედვა, განათლება და კულტურა,

## ღვანასაულის მილოცვა არასოდეს არ არის ღაპიანაული!!!

**შობა-ახალ წელს ბილოცავთ ჩემო ძვირფასო მებოძობებო!**

ერთგულ მოთხვედებო, ჩვენი სამშობლოს საღარაჯოზე მდგომო თანამოაზრენო!

კიდევ ერთი წელი მიითვალა ჟამთასვლამ, რომელმაც უამრავი საფიქრალი დაგვიტოვა!

რომ ვაკვირდები, არაფერი მოკლება, ბოლო, მეოთხედი საუკუნის მანძილზე დაგროვილ ქვეყნის და მისი აბორიგენი მოსახლეობის საწუხარ-საფიქრალს!

რომ იტყვიან – თითქოს არც ყოფილა ეს წელი!

ასეთ დროს, ახალ წელს საგანგებო იმედით მოელის ადამიანი და ზოგი ხმა-მაღლა გაცხადებთ, ზოგიც ჩუქმედ, უთქმედად ოცნებობს და გვემავს იმის შესრულებას, რაც გასულ წელს (შესაძლოა წლებში) ვერ შეიძლო!

...და ამ დროს, თითქოს ეშმა ჩაგაძახის ყურში – „მაიმუნის წელი დგებაო წელს!!!“

მე არ ვიცი, ვისთვის რისი წელი დგება, ყველა თავის მისადაგს ნატრობს და ელოდება, – ყველას მშვიდობით გაუთენოს! ოდითგან, ქრისტეს სჯულის ერთგული და მიმდევარია ჩვენი სამშობლო, ჩემთვის და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის უფლის წელიწადი თუნდება მუდამ!

– ამიტომაც, მთელი წლის მანძილზე,

ყველა დღესასწაულს უფლის შობა უძღვის წინ, მათ შორის ახალ წელს.

– დამდეგ, უფლის შობის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, ჩემო ძვირფასებო!

– უფლის შობიდან ერთ კვირაში ახალი წლის დადგომაც ვიხეიქმეთ!

მშვიდობის, ჯანმრთელობის, ბედნიერების, ტრადიციების შენარჩუნების, ოჯახის ძლიერების, სტუმარ-მასპინძლის გარჩევის და საკადრისი ადგილის მიჩენის, მიტყეების, ბოროტების დასჯის, ქართველების მიერ ქვეყნის გარედან ჩაურევლად მართვის, ქალის ქალად და კაცის კაცად დარჩენის, შვილების სიმრავლის, სამშობლოში დარჩენის და არა უცხოეთში გაქცევის, ნიჭის დაფასების, ქვეყნის სახელმწიფო ენის – ქართული ენის პატივისცემის, ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე ქვეყნის უგუნურ მმართველთა მიერ მტრადმოკიდებული ქვეყნების და ხალხების შემორიგების, საქართველოს, ჩვენი სამშობლოს გამთლიანების, ღვთის მოშიშობის და სიყვარულის წელი ყოფილიყოს – დამდეგი 2016 წელი!

ქრისტესმიერი სიყვარულით, მადლიერებით და პატივისცემით,

**დავით ქობალია**

## სიცოცხლე დედამიწაზე მარსიდან მოვიდა



„შორეულ წარსულში მარსზე სიცოცხლის ჩასახვისთვის აუცილებელი პირობები იყო“, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სწავლულები 11 მარსიანული მეტეორიტის შესწავლის შემდეგ, რომლებშიც რთული ორგანული ნივთიერებების კვალი აღმოჩნდა. ისინი პლანეტის სიღრმეებში გეოლოგიური აქტიურობის შედეგად წარმოიშვნენ და არ წარმოადგენენ მიწიერ ან კოსმოსურ მინარევებსა და დამაბინძურებლებს.

როგორც ანალიზმა აჩვენა, ამ მეტეორიტებიდან ყველაზე უძველესის ფორმირება 4.2 მილიარდი წლის წინათ მოხდა, ყველაზე ახლგაზრდა კი მარსს დაახლოებით 190 მილიონი წლის წინათ მოსწევდა. ვაშინგტონის კარნეგის სამეცნიერო ინსტიტუტის სწავლულებმა, ენდრიუ სტილის

არამედ კოლოსალური დროის შედეგად მიღებული ფიზიონომიური, ცნობიერ-კულტურული ევოლუციის შედეგად გახდა თავისთავისა და მის გარშემო არსებულის დამკვირვებელი (შემსწავლელი), დედამიწაზე პირველი ადამიანი, რომელმაც ერთმანეთისგან გამოიჯენა „შეიძლება“ – „არ შეიძლება“ კულტი. ეს იყო ქურუმ-პატრიარქი ადამი (მანამდე ყველაფერი შეიძლებოდა, რადგან არ არსებობდა რჯული და ცოდნა).

ადამიდან მოსეს ჩათვლით, ექვსივე ქურუმ-პატრიარქი ქმნიდნენ და ემსახურებოდნენ გარკვეული დროთა დისტანციური შუალედებით. ერთმანეთის ზედშენებით დედამიწაზე წუთისოფლური-ყოფითი არსებობის დახვეწასა და მის შეცნობას, რომელსაც კაცობრიობის ცნობიერი დიპაზონით მეცნიერება და რელიგია აქვია!

ხემათხსენებულადან გამომდინარე ვგებულობთ, თუ როგორ იქმნებოდა წუთისოფლური ყოფითი წეს-ჩვეულებები და ადამიანური ფასეულობები დედამიწაზე, რომელიც დაავგორგვინა პატრიარქმა მოსემ ათი ცნების ქადაგებით. ვინაიდან „ღმერთმა შექმნა ადამი თავის ხატად და მსგავსად“ (დაბ, 1,27). დედამიწიერ ადამიანს სულიერ-გენეტიკური მოწიფულობიდან უჩნდება გრძნობა ჩვენი პლანეტის გარშემო არსებული უსასრულო სამყაროს ცოდნის შესახებ, ანუ, საიდან მოვდივართ, სად ვიპყრებით და სად უნდა წავიდეს ყოველივე დედამიწაზე არსებული.

ხსენებული ცოდნის შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ მესხად რჯულით, იესო ქრისტეს მოძღვრებითა და ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ზიარებით, რომლის სრული ცნობიერებაზე ზიარებას იწყებს კაცობრიობა იოანეს წყლით ნათლისცემის 2000 წლიანი ეპოქის დასრულების შემდგომ: „შენ ხარ ის, ვინც უნდა მოვიდეს, თუ სხვას უნდა ველოდოთ?“ (ლუკა 11,3)

აქედან გამომდინარე უნდა ვიცოდეთ, რომ პატრიარქი მოსეს დედამიწიერი მეექვსე ცნობიერებიდან, იესო ქრისტეს ზეციური სასუფეველს, სულიწმიდითა და ცეცხლით მონათვლის მეშვეივე ცნობიერებად, გარდამავალი – მოსამზადებელი წინა პერიოდის სახით დევს 2000 წლიანი იოანეს წყლით ნათლისცემის ეპოქა, რომლის ამოწურვის ბოლო ფაზაში იმყოფება მიწიერი კაცობრიობა, ამიტომ მსოფლიო ბოლოქრობს, ის (მსოფლიო) ახალი ცნობიერების მიღების ზღვარზეა, რასაც მაცხოვარი იესო ქრისტე ახლო მომავალში ნათელს მოაჰყვანს ყოველივეს.

ამინ!

**მურმან ხუშულაშა,**  
(გაგრძელება იქნება)







სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალის ბიორბი ჯალაღანის იტალიელი ფორვარდები აღრე და ახლა: გოლები, რომლებიც არ დაფასდა



თავის დროზე კი მათი დახმარება "აპურას" არ დასჭირდება.

მაშურიციო ბანცი

მაშურიციო ბანცი კარიერაში 524 მატჩი გამართა და 166 გოლი გაიტანა. 1995-97 წლებში, ბანცი "ინტერის" ღირსებას იცავდა და 68 შეხვედრაში 26 გოლი მიითვალა აქტივში. შემდეგ, "მილანში" ამოჰყო თავი, სადაც ასევე წარმატებით იასპარეზა, "ატალანტაში" კი სამი წლის განმავლობაში 37 გოლი მოაგროვა.

ბანცი ბევრი იტალიური გუნდი გამოიცვალა და იტანდა ყველგან, სადაც კი თამაშობდა. ბანცის ანგარიშზე არც ერთი სანაკრებო გოლი არაა, რადგან "სკუადრა აპურაში" ის არც ერთხელ არ გამოუძახებიათ. დიას, მაშურიციომ 20 წელზე მეტ ხანს ითამაშა ფეხბურთი უმაღლეს დონეზე და ეროვნულ გუნდს მისი სამსახური არასდროს დასჭირვებია.

რობერტო მუცი

რობერტო მუცი სარდინიაზე განსაკუთრებულად უყვართ, რადგან "კალიარიში" 4 წელი დაჰყო, 144 მატჩი გამართა და 58 გოლი გაიტანა. შემდეგ, იყო "უდინეზე", სადაც 102 შეხვედრაში 38 გოლს მოუყარა თავი. გოლები "რომაში", "ლაციოში" და "ტორინოშიც" გაიტანა, შედეგად კი 129 შედეგიანი დარტყმა მოუტროვდა.

გამორჩეულა ტექნიკით და არც საგოლე გადაცემების კეთება ეშლებოდა. იტალიის ეროვნულ ნაკრებში რობერტო მუცის არასდროს უთამაშია და როგორც თვითონ აცხადებს, ეს მის აუხდენელ ოცნებად დარჩა.

მარკო სიმონე

"მილანის" გულშემატკივარებისთვის გამორჩეული ფორვარდი, რომელიც ლომბარდიულ გრანდში 1989-97 წლებში თამაშობდა, 168 მატჩი აქვს ჩატარებული და 49 გოლი გატანა.

სიმონე იყო იმ "მილანის" წევრი და ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც ყველაფერი მოიგო როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. შემდეგ, მარკომ საფრანგეთში იასპარეზა 4 წელი, პსუ-ში 58 თამაშში 22 გოლი მიითვალა აქტივში, ხოლო "მონაკოში" 69 თამაშში 28-ჯერ შეარხია მეტო-

ქთა კარის ბადე. მოკლედ, სიმონე იტანდა ყველგან, სადაც კი თამაშობდა, მაგრამ მის ანგარიშზე არც ერთი სანაკრებო გოლი არაა - მიზეზი მარტივია: სიმონე მხოლოდ 4-ჯერ გამოიძახეს "სკუადრა აპურაში", იქაც თადარიგში იჯდა და წუთები აკმარეს.

მარკო დი ვაიო

გავეცნობ მარკო დი ვაიოს სტატისტიკას და ყველაფერი ნათელი გახდება: "სალერნიტანა" - 67 თამაშში 33 გოლი, "პარმა" - 83 თამაშში 41 გოლი; "იუვენტუსი" - 55 თამაშში 18 გოლი; "ვალენსია" - 35 თამაშში 11 გოლი; "მონაკო" - 29 თამაშში 8 გოლი; "ჯენოა" - 44 თამაშში 12 გოლი; "ბოლონია" - 143 თამაშში 65 გოლი; "მონრეალი" - 76 თამაშში 34 გოლი; სულ: 575 თამაშში 230 გოლი.

სამაგიეროდ, მარკო დი ვაიო ძალიან იშვიათად სჭირდებოდათ ეროვნულ ნაკრებში, სადაც მისი ნათამაშები წუთები რომ გადავხაზოთ, 5 მატჩი არ შეიკვრება, თუმცა ამ დროში, 2 გოლის გატანა მოასწრო.

პაოლო დი კანო

ქარიზმატიული ლიდერი, არაორდინალური ხასიათით და სკანდალური ქცევებით. შეეძლო გულშემატკივრებს ფაშისტური ექსტრემიზმის მიხედვით, შემდეგ თამაშში კი ფეარ პლეის პრინციპები დაეცვა და ჰუმანურობის მაგალითად ქცეულიყო. რაც მთავარია, პაოლო დი კანო იყო ფორვარდი, რომელიც იტანდა ყველგან, სადაც კი თამაშობდა: "ლაციოში", "ნაპოლიში", "სელტიკში", "შეფილდ უენსდელიში" და რაც მთავარია, "ვესტ ჰემში", სადაც 118 შეხვედრაში 48 გოლი მოაგროვა.

დი კანომ კარიერაში 127 გოლი გაიტანა, მაგრამ აქედან არც ერთი სანაკრებო, რადგან "სკუადრა აპურაში" პაოლო არასდროს გამოუძახებიათ.

სხვები

კიდევ არაერთი ფორვარდის გახსენება შეიძლება, რომლებსაც თავის დროზე არ მიეცათ იტალიის ეროვნულ ნაკრებში თავის გამოჩენის საშუალება, დღეს კი მათ აუცილებლად იხსობდნენ "სკუადრა აპურაში". მაგალითად, ნიკოლა ამორუზო, რომელმაც კარიერაში ბევრი გუნდი

გამოიცვალა და ყველგან შედეგიანობით გამოირჩეოდა.

მაგალითად, "რეჯინაში" 96 თამაშში 40 გოლი შეაგლო, არც "იუვენტუსში", "ნაპოლიში" და "პარმაში" იასპარეზა ცუდად და შედეგად, 128 გოლს მოუყარა თავი. ამორუზოს იტალიის ნაკრებში არც ერთი თამაში არ ჩაუტარებია.

გავისხენოთ კროსტიანო ლუკარელი, რომელმაც კარიერაში 203 გოლი გაიტანა და სერია A-ს ყველა დროის ბომბარდირებში მოწინავეთა შორის გახლავთ. ლუკარელი "ლიგორნოს" ლეგენდაა, სადაც 146 თამაშში 92 გოლი გაიტანა. ლუკარელი იტალიის ნაკრებში მხოლოდ 6 მატჩი გამართა და 3 გოლი მოაგროვა.

ფაბრიციო მიკოლი რომ დღეს იყოს კარიერის საუკეთესო წლებში, აუცილებლად ითამაშებდა იტალიის ნაკრებში, თავის დროზე კი "აპურას" მწვრთნელები მას მუდმივად აიგნორებდნენ. არადა, "პალერმოში" 165 შეხვედრაში 74 გოლს მოუყარა თავი და არც "იუვენტუსში", "ფიორენტინასში" და "ბენფიკაში" ჰქონდა ცუდი შედეგები.

ტომასო როკი "ლაციოს" გულშემატკივართა ნამდვილი კუმირია, რადგან ამ გუნდის შემადგენლობაში 9 წლის განმავლობაში 82 გოლი აქვს გატანილი, იქამდე კი "ემპოლიში" ბრწყინავდა. იტალიის ნაკრებში როკი მხოლოდ სამჯერ გამოიძახეს და იქაც წუთები ათამაშეს.


ბუნებრივია, შანსი არც ნიკოლა ვენტოლას და დარიო ჰუბნერს მისცემიათ - არადა, ამ უკანასკნელის ანგარიშზე არც მეტი, არც ნაკლები, 262 გოლია. ჰუბნერმა "ბრეშაში" 129 მატჩი გამართა და 75 გოლი შეაგლო, რაც ფენომენალური შედეგია. ეს ყველაფერი კი სერია A-ში ხდებოდა.

კონტუს რეზიუმე

იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ანტონიო კონტეს ჩვენი იტალიელი კოლეგა სწორედ ამ მასალის საფუძველზე დაუკავშირდა და მხოლოდ ერთი კითხვა დაუსვა:

- რომელს წაიყვანდით ევროპის ჩემპიონატზე ამ თავდამსხმელებიდან: ბანცი, მუცი, სიმონე, დი ვაიო, დი კანო? - ყველას...

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლავრენტი ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათს დღეს, დღის 9 საათზე, ბაქრადის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374.

უღრმეს მადლობას მოვახსენებ ყველა იმ მეგობარსა და თანამოაზრეს, ვინც გაამხსენა და უსოფენ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მომილოცა დაბადების დღე! დიდი მადლიერებითა და პატივისცემით, როლანდ ჯალაღანია

გამოვიდა შურნალ „აია“-ს მომდევნო ნომერი (№19), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი ბიორბი სიჭინავა. შურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I საღარბაზო, ბინა 1. ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში შურნალის შექმნა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“-ს წარმომადგენლობაში. ტელ. 238-03-11 შურნალის ფასია 4 ლარი.

სახალხო მკურნალთა მოუპოო ოფისი ჯარ კილვა აქლავი ნაშიონალური ფარმაცეუტიკის, რომელიც მის დაიქირავს სელიოზა და კლავ ჩაღვა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში. ღომინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათვისებული სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუჯავლობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუხისილს, ნერვის ანთეზას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰერპესს, გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დაზიანებას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, აფერებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას. მკურნალის კოორდინატები: თელავი, სოფელი შალაში, ბაზნიძის ბიჭვინთი (ღომინტი). ტელ: 593-22-66-51 თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე - 10-დან 16 საათამდე.